პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ, გ, წ. არ და მ. ტრ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 24 ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. ცალკე ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

დღეს

— საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საბჭოთა მეორე ყრილობა გადაიდო 22 იანვრისათვის.

— საკავშირო ცაკმა ესერების ც. კ. წევრებს, რომელთაც დახვრეტა მიესაჯათ, [illegible]

— დაბრუნდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატების რწმუნებულთა თათბირი.

— ჩინეთში შედგა ახალი მთავრობა.

— ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა კონფერენცია გადაიდო.

— ამერიკის მთავრობამ უარი განაცხადა რუს ემიგრანტების მიღებაზე.

№ (865) ორშაბათი, 16 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 13 (365)

საქ. კ. პ. ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 18 იანვარს,

ერთიან პარტიულ დღეს

გაიმართოს განხილვა საკითხისა ეკონომიურ პოლიტიკის მორიგ ამოცანების შესახებ.

დამატებითი მასალები ამ საკითხზე დაბეჭდილი იქნება გაზ. „კომუნისტის" უახლოეს ნომრებში.

ტ. კ. მდივანი რუბენი

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და ჩვენი მიღწევანი

როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკები პირისპირ დადგენ ევროპიული სახელმწიფოების წინაშე, რომლებიც, სამხედრო ასპარეზზე დამარცხების შემდეგ ცდილობდენ ალებ-მიცემობის დარგში მაინც აენაზღაურებიათ ის, რასაც ვერ მიაღწიეს იარაღით ხელში—საჭირო შეიქნა მიღება მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, უზრუნველჰყოფდენ მუშებსა და გლეხებს უცხოელების მიერ საწველ ფურათ გადაქცევისა და დამონებისაგან.

ერთ-ერთ ასეთ ზომათ საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

სახალხო მეურნეობის სისუსტის, შინაური ბაზრის მოუწესრიგებლობის და ქვეყნის საერთო მოუწყობლობის პირობებში, ხელისუფლება, დაინტერესებული რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებით, ფხიზლად უნდა მდგარიყო სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, რათა ირგვლივ შემორტყმულ კაპიტალს ხელი არ დაედვა ხალხის დოვლათზე, არ ამოეწურნა ის და ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა თავის ახალშენათ არ გადაექცია.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ე. ი. სახელმწიფოს ხელში მოქცევა ამ ვაჭრობის და თავის ნება-სურვილისამებრ წარმართვა მისი, წინააღმდეგ კერძო კაპიტალისა,—იყო ერთათ ერთი გზა ამ მიზნის მისაღწევათ და საკავშირო მთავრობაც დიდი წარმატებით მუშაობს დღემდე ამ მიმართულებით.

მონოპოლიამ კონკურენციის გარეშე დააყენა სახელმწიფოს სავაჭრო ორგანოები, ჩამოაცილა მათ შინაური და საგარეო სავაჭრო კომპანიათა მეტოქეობა, რითაც, თუმცა დიდი გულისწყრომა და აღელვება გამოიწვია მათში, მაგრამ დრო და საშუალება მიეცა სახელმწიფოს წელში გასწორებულიყო და თავის საშუალებით, თავის სასარგებლოთ—და არა სხვისი ჯიბის გასასქელებლათ,—ეწარმოებია ვაჭრობისა და, საზოგადოთ, ეკონომიური აღორძინების საქმე.

ამ მიზანს აღწევს მთავრობა.

პირველი მისი ამოცანა იყო ეს გაეხსნა მსოფლიო ბაზრისკენ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ეს ადვილი საქმე როდი იყო. ომმა და რევოლიუციამ გაწყვიტა შემაკავშირებელი ძაფები. თითქმის ათი წლის გაჩერებული საქმე უნდა დაწყებულიყო, გზა ახლათ გასაკვლევი შეიქნა. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შესძლო—იმ უპირატესობათა პირობებში, რომელსაც იძლევა მონოპოლიის პრინციპი—აემოძრავებია დიდი ენერგია და კვლავ დაებრუნებია რუსეთის მეურნეობის პროდუქტები უცხოეთის ბაზარზე.

წარსულ საანგარიშო წელმა მოგვცა ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები. რამოდენიმე ციფრები ნათელყოფენ ამას.

თუ 1921—2 სამეურნეო წელში გატანილი საქონლის საერთო ღირებულება უდრიდა 64 მილიონ ოქროს მანეთს (ომის წინა დროინდელ ფასებით)—წარსული, 1922—3 წლის ექსპორტი ჯამს შეადგენს უკვე 133 მილიონი ოქროთი (ისეთივე ფასებით).

უმთავრესი საექსპორტო საგნებია პური, ტყე, ნავთის პროდუქტები, ტყავეულობა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი—სასოფლო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით—არის პურის ექსპორტი. თუ შარშან გატანილი იქნა მხოლოთ 40 მილიონი ფუთი, წელს, მხოლოთ იანვრისათვის განზრახულია 100 მილ. ფუთის გატანა ე. ი. გაყიდულია უკვე ამ ღირებულების საქონელი. ასეთია მდგომარეობა წლის დასაწყისში. ცხადია, რომ დანარჩენი თერთმეტი თვის განმავლობაში მდგომარეობა კიდევ უფრო შეიცვლება.

ექსპორტის ასეთმა განვითარებამ თავისი გავლენა მოახდინა სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ბაზარზე: საგრძნობლათ აიწია ფასი ხორბლეულობაზე და საზოგადოთ ყველა იმ საქონლებზე, რომლებიც შეადგენენ ექსპორტის საგანს. ხოლო უმთავრესი დღეს სწორეთ ეს არის. პრობლემა „მაკრატლის" აქ იპოვნის გადაწყვეტას თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილში. სოფლის მეურნეს საშუალება მიეცემა მიღებული გროშებით ბაზარზე გამოვიდეს და ქალაქის მრეწველობის მუშტარი შეიქნეს. თუ ამ მრეწველობის საწარმოო ხარჯები შემცირდა და თუ ეს შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, გამნაწილებელმა ორგანოებმა ეს საქონელი შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში მიუტანეს სოფელს—ამოცანა გადაწყვეტილი იქნება ამნაირათ საგარეო ვაჭრობის განვითარება ერთი მხრით უდგება და სწყვეტს დღევანდელი კრიზისის საკითხს.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მნიშვნელობა მონოპოლიის. გეგმიანი, სახელმწიფოს ინტერესებთან შეფარდებული ალებმიცემობა აღწევს მიზანს კიდევ სხვა მხრივ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საზღვარგარეთ გატანილი მეტი არის ვინემ შემოტანილი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვაქვს უკვე აქტიური სავაჭრო ბალანსი, უცხოეთი იძულებულია შეიძინოს ჩვენი ვალიუტა სავაჭრო ოპერაციების ჩასატარებლათ. ამნაირათ საგარეო ვაჭრობის განვითარება, შემოტანილთან შედარებით მეტის გატანა უცხოეთში, ამტკიცებს ჩერვონცს, ამაგრებს ჩვენი კავშირის ფინანსიურ ბაზას.

ასეთი მიღწევები შეგვიძლია აღვნუსხოთ უკვე დღეს, როგორც შედეგი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა.

ეს გარემოება ვერაფრად მოსწონს ბურჟუაზიას, განსაკუთრებით, ამხედრებული არიან მის წინააღმდეგ უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეები. მაგრამ მათმა კამპანიამ ვერ გასჭრა. და ამ უკანასკნელ ხანებში ისინი მუშაობენ—რამდენადაც მუშაობენ საზოგადოთ—ამ მონოპოლიის ცნობის ნიადაგზე.

ამნაირათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ სრულიათ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდენ მასზე პარტია და სახელმწიფო. ერთიც და მეორეც კვლავ ივლიან ამ გზით საბჭოთა კავშირის განსამტკიცებლათ.

საჭიროა კანტროლი

თავის დროზე ჩვენ გვქონდა აღნიშნული, რომ მრავალი დაბრკოლება გადაელობება წინ საბჭოთა ხელისუფლების იმ ღონისძიებათა გატარებას ცხოვრებაში, რომლებიც მიმართული არიან ქალაქის საქონლის გაიაფებისაკენ. ერთი ასეთი შესაძლებელი დაბრკოლებათაგანია ის გარემოება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოები შეეცდებიან ამა თუ იმ სახით გვერდი აუარონ მთავრობის განკარგულებებს და გაყიდონ საქონელი უფრო ძვირად, ვინემ ეს განსაზღვრულია შინა ვაჭრობის კომიტეტის მიერ. ეს მოსაზრება არ არის უქმი ფანტაზიის ნაყოფი, რომელსაც არა აქვს საფუძველი რეალურ სინამდვილეში. მოსკოვის პრესაში უკვე იყო მოყვანილი რამოდენიმე ფაქტი შინა ვაჭრობის დადგენილებათა დარღვევის.

აქ მოულოდნელი მაინც და მაინც არაფერია. ზოგიერთი ჩვენი „ხოზიაისტვენნიკი" საკმაოთ შეზღუდულია „საკუთარი ქოხის" ვიწრო და ცალმხრივი თვალსაზრისით. ისინი შეჩვეული არიან პირველ რიგში მისდიონ მოგების ინტერესებს მომხმარებლის და საბოლოო ანგარიშით სახელმწიფოს ვაჭრობა-მრეწველობის და მშრომელთა ხელისუფლების საზიანოდ. ზოგიერთი „ხოზიაისტვენნიკი" ვერ შერიგებია იმ გარდატეხას, რომელიც მოახდინა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ფასების პოლიტიკაში და ინერციით განაგრძობს ძველი, მოლიპული გზით სიარულს.

უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ ფასების დაკლებას, ზედნადები და მოგების პროცენტის მინიმუმამდე შემცირებას აუცილებლად მოყვება სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოების ხარჯების შემოკლება, შტატების შემცირება, ე. ი. სპეცგანაკვეთების შეზღუდვა მეტი მომჭირნეობის დაცვა ყველაფერში წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ორგანოები თავს ვერ შეინახავენ იმ, წინანდელთან შედარებით, მცირე მოგებით, რასაც მათ აკუთვნებს შინა-ვაჭრობის კომიტეტის დადგენილებები. ფასების ახალი პოლიტიკა ჰგულისხმობს სავაჭრო და კოოპერატიულ აპარატის რეორგანიზაციას.

ჩვენ კი ვიცით, რომ ამ აპარატების ერთ-ერთი მთავარი სენი მდგომარეობს ზედმეტი ხელგაშლილობაში, რამდენად საქმე ეხება არა იაფი საქონლის მიწოდებას მომხმარებელ მასისათვის, არამედ სწორედ საპარატო და საორგანიზაციო ხარჯებს.

ხელისუფლებას მოუხდება დიდი მუშაობის გაწევა, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოების რეორგანიზაციისათვის, მათი მაქსიმალური გამარტივება გაიაფების და დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნებთან უკეთესი შეფარდების მიმართულებით.

ამასთან მთავრობამ უნდა აწარმოოს სასტიკი ბრძოლა იმ „ხოზიაისტვენნიკების" ასალაგმავად, რომელთაც ვერ შეიგნეს აზრი „ახალი კურსის" ფასების პოლიტიკაში და ცდილობენ გვერდი აუხვიონ შინა ვაჭრობის კომიტეტის დადგენილებებს და მის მიერ დაწესებულ ფასებზე უფრო ძვირათ გაასაღონ საქონელი ამ ბრძოლაში მიღებულ ღონისძიებათა გადამახინჯებასთან უნდა ჩაებან არა მარტო სათანადო საბჭოთა ორგანოები, არამედ თვით მომხმარებელი მოსახლეობა.

ხალხი უნდა კარგად გაერკვეს საქმის ვითარებაში, მას ფართოდ უნდა აუხსნათ, თუ რა ზომებია მიღებული მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მისთვის იაფი საქონლის მისაწოდებლად; მას უნდა გავაგებინოთ რა ფასებია დაწესებული ამა თუ იმ საგანზე და ამა თუ იმ რაიონისათვის.

სწორედ ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდა ამ დღეებში ადგილობრივ პრესაში. ამ დადგენილებაში ჩამოთვლილია ზომები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი ფასების შესახებ დადგენილებების გატარებაზე ცხოვრებაში.

ყველა სათანადო ორგანოები (სახელმწიფო დაწესებულებანი, ტრესტების და სინდიკატების ადგილობრივი წარმომადგენლობანი, კოოპერატიული ორგანიზაციები) ვალდებული არიან გამოკიდონ შესაფერ და თვალსაჩინო ადგილას შინა-ვაჭრობის კომიტეტის მიერ დაწესებული ფასები. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

სათანადო ორგანოებს აგრეთვე ევალებათ მიიღონ ზომები, რათა მოსახლეობას ფართოდ გააცნონ ფასების დაკლება მასიურად მოსახმარ საგნებზე და გამოკიდონ აღმასკომებში (მაზრის, ქალაქის, რაიონის, თემის და სოფლის) დადგენილი ფასები, იმის აღნიშვნით თუ რა ფასებში უნდა იყიდებოდეს საქონელი ადგილობრივად სახელმწიფო ორგანოების დუქნებიდან და კოოპერატივებიდან.

ფასების ახალი პოლიტიკის სისწორით განხორციელებაზე სასტიკი თვალყურის დევნება, ფხიზელი კონტროლის დაწესება ერთ-ერთი ამოცანათაგანია, რომლის წარმატებით გადაჭრა ბოლოს მოუღებს მრავალ გაუგებრობას და ხელს შეუწყობს „მაკრატლის" წვერების დაახლოვებას.

წერილები ბერლინიდან

იუმორი

მკითხველო, მე მინდოდა მიჩვენებინა შენთვის უკანასკნელი ნომერი „სიმპლიცისიმუსის", რომელიც ითვლება ერთ-ერთ ძველ იუმორისტულ ჟურნალათ ბერლინში. ამ რამოდენიმე გვერდზე, რომელიც ჩვეულებრივად სავსეა კალამბურებით, პოლიტიკურ სატირებით და ოხუნჯობით,—იხატება ეხლა ღრმა მწუხარება, სასოწარკვეთილება; ხალხის სიცილი გამოხატავს მისი სულიერი განწყობილების მეტ ნაწილს; ომიდან დაწყებული, განსაკუთრებით, იუმორისტული გამოცემანი,—რომლებიც ემსახურებოდენ სავსებით გასაგებ თავდავიწყების [illegible], გამოხატავდენ ირონიას, ცბიერობას, უნდობლობას და სარკაზმს ხალხის,—მთელ აუარებელ ქონებას ქმნიდენ. ეხლა კი, გერმანული სიცილი—მხოლოდ მწარე დაცინვაა.

„სიმპლიცისიმუსის" მარტო ამ ერთ ნომერში მე ვნახე ტრაგიკული სურათი.—ღარიბების „კუდი" ბნელი ქუჩის ფონზე დუქნის შესავალთან. ვიღაცა ლაპარაკობს: „ბედი გვწყალობს! ჩვენ ჩქარა მოგვიწევს: ჩვენს წინ ორს გული წაუვიდა." მე იმდენი მინახავს ეს უწყრო „კუდები" ბერლინის მახლობელ ადგილებში, რომ ამ სასტიკ ოხუნჯობაში მე არ ვამჩნევ შარჟისებურ გადაჭარბებას.

დიპტიხ (ორმაგი სურათი).— დედა, ისეთ ბინაზე, —სადაც პური არ იშოვება, გარშემორტყმულია დამშეულ ბავშვებით და ლაპარაკობს: „ნუ ცელქობთ ბავშვებო, აი დაბრუნდება მამა, მოიტანს კარტოფილს". მაგრამ მამა აღარ დაბრუნდება: ის დაეცა ცივს ქვაზე, კარტოფილიან ველზე, ტყვიით განგმირული. ეს სურათი სიმართლეს შეიცავს—მოკლულია რამდენიმე ასეთი „მუქთახორა".

მეორე გვერდი: 2 ჩასუქებული გლეხი, ბაზრიდან მომავალი... ისინი არჩევენ ბეითლათ გამხდარი ექიმის გადაწყვეტილებას: „ის ამბობს, რომ ლორი უკეთესია კაცზე"—„დასწყევლოს ღმერთმა, გაცილებით უკეთესი. უმუშევრის კანი არაფერი არ ღირს, ხოლო ტყავი ძვირია, ძლიერ ძვირი".

შემდეგ: ორი უკანასკნელი სურათი: ერთი დასცინის სავადმყოფო კასის ბიუროკრატიზმს (ექიმები, რომლებიც ერთხელ გაფიცული იყვნენ, იმუქრებიან გაფიცვის განახლებით), მეორეზე—დამშეულ ქალაქზე გამოხატულია სამოქალაქო ომის აჩრდილი.

...უნდა იცოდე მთელი სიღრმე მწუხარებისა და სასოწარკვეთილების, რომელმაც მოწამლა გერმანიაში ყოველივე, თვით „იუმორისტულ" ჟურნალების გამყიდველური სიცილიც კი, რათა გაიგო, რომ ებერტმა, მიუხედავად რეიხსვერით ბოროტმოქმედებისა, ვერ შესძლო სოციალური მშვიდობიანობის დამყარება ვერც გერმანიაში, ვერც ბერლინში და ვერც დრეზდენში

რ. ალბერტ.

ბერლინი, 22 დეკემბერი.

„თეთრგვარდიელების კონფერენცია და საბჭოთა რესპუბლიკა"

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 15 იანვარი. ამხ. სტეკლოვი „იზვესტიაში" სწერს: „მცირე ანტანტის კონფერენციას არ გამოუტანია არავითარი გადაწყვეტილება საბჭოთა რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ. ჩეხო-სლოვაკია ვერ ბედავს განსაზღვრულ ნაბიჯის გადადგმას და უცდის მთელი მცირე ანტანტის საერთო გამოსვლას. მაგრამ ასეთ საერთო გამოსვლის მოლოდინი უდრის გადაწყვეტილების გამოტანის გაჭიანურებას. პატარა სახელმწიფოები ელიან, რას იტყვიან დიდი სახელმწიფოები. ისინი უცქერიან ანტანტის მოკავშირეებს, განსაკუთრებით საფრანგეთს. რადგანაც მცირე ანტანტის მონაწილეები საჭიროდ აღიარებენ, რომ მათ არ მიაჩნიათ დამოუკიდებელი პოლიტიკა, ჩვენ ეს მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ

ვერ ბედავენ რა გამოარკვიონ თავისი დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკასთან, მცირე სახელმწიფოები ამით არღვევენ თავიანთ რეალურ პოლიტიკურ ინტერესებს. თუ მათ ამოძრავებდა საკუთარი ინტერესები, მათ უკვე უნდა გადაედგათ გაბედული ნაბიჯი და უარი ეთქვათ საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ საბოტაჟის პოლიტიკაზე".

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას.

ბრძოლა მწვავდება: ბრძოლა 10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ და შრომის ხელფასისათვის თანდათანობით მწვავე ხასიათს იღებს, მწარმოებლები მუშების ბრძოლას მასიური დათხოვნით უპასუხებენ, ზოგიერთ ადგილებში ხდება შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის.

ყვითელ პროფკავშირებში: ყვითელი პროფკავშირები დაწყებულ მუშათა მოძრაობაში აშკარა მოღალატურ როლს თამაშობენ. გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც „არ კისრულობს პასუხისმგებლობას საერთო გაფიცვისათვის".

მრეწველობის კრიზისი: საფრანგეთის კონკურენციის და სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შესუსტების გამო გერმანიის მრეწველობა სასტიკ კრიზისს განიცდის.

გერმანია და ანტანტა: შტუტგარდტში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ჩამოსვლის გამო გაიმართა დიდი დემონსტრაციები.

დემონსტრანტებმა განიზრახეს საკონტროლო კომისიის წევრებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, მაგრამ ხელი შეუშალა პოლიციამ მაშინ დემონსტრანტებმა ჩაამტვრიეს კომისიის ავტომობილის მინები.

ექსპერტთა კომისიაში: მუშაობა დაიწყო ექსპერტთა კომისიამ.

ბრძოლა მწვავდება

შეტაკებები დაიწყო.

ბერლინი. 13 იანვარი. გაგიზში მუნიციპალიტეტის კრებამ დაადგინა გაიღოს დათხოვნილ მეღითონეების სასარგებლოდ 200,000 სარენტო მარკა.

დიუსელდორფის ქალაქის საბჭომ უარჰყო სოციალ-დემოკრატების წინადადება გაფიცულთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

სამრეწველო ოლქების მუშათა მატერიალური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება: კელნში და ოპლადენში მოხდა შეტაკება ერთის მხრით გაფიცულ და დათხოვნილ მუშებსა და მეორეს მხრით შტრეიკბრეხერებს შორის. კრეფელდში გაფიცულ მეღითონეებს და ფეიქრებს შეუერთდენ სხვა წარმოებათა მუშებიც. გაიფიცენ აგრეთვე ბურჟუაზიულ გაზეთების ასოთ-ამწყობნი. საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, ქალაქს რკინისგზების და კომუნალურ წარმოებათა მუშები იძულებული გახდენ განეგრძოთ მუშაობა. ბოხუმში მეღითონეების საყოველთაო გაფიცვა მოედო მრეწველობის თითქმის ყველა დარგებს.

ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ გაფიცვის რაიონებში კომუნისტები იჩენენ აქტიურ მუშაობას.

ყვითელ პროფკავშირებში

„ფრთხილი" დადგენილება.

ბერლინი. 13 იანვარი. ელბერფელდში მოწვეულმა გერმანიის პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების კონფერენციამ საერთო გაფიცვის საკითხის შესახებ დაადგინა მიანდოს გაფიცვის გამოცხადების უფლება ადგილობრივ ორგანიზაციებს. კონფერენციამ უარი სთქვა მიიღოს თავის თავზე მორალური პასუხისმგებლობა საერთო გაფიცვისათვის და ამავე დროს წინადადება მისცა ადგილობრივ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ და დახმარება გაუწიონ გაფიცულ და დათხოვნილ მუშებს.

მრეწველობის კრიზისი

ბრძოლა მსუბუქ და მძიმე მრეწველობას შორის.

ბერლინი. 13 იანვარი. ნახშირის ფასების შემცირებამ და საერთო ბრძოლამ პროლეტარიატის წინააღმდეგ შეასუსტა უთანხმოება მსუბუქ და მძიმე მრეწველობის შორის. მაგრამ, ახლო მომავალში მოსალოდნელია უთანხმოების განახლება კიდევ უფრო მეტის სიძლიერით. მძიმე მრეწველობა მოიგერიებს ვალიუტის წინააღმდეგ მიმართულ ახალ იერიშს. მსუბუქ მრეწველობას, პირიქით, განზრახვა აქვს ფინანსიურ კაპიტალთან შეთანხმებით ხელი შეუშალოს მარკის ახალ უზრუნველყოფას საბანკო ბანკის დაარსების გზით.

ბერლინი. 13 იანვარი. საფრანგეთის კონკურენციის და სოფლის მეურნეობის სყიდვითი უნარიანობის შემცირების გამო, გერმანიის მრეწველობა მძიმე კრიზისს განიცდის. დაითხოვეს კალიუმის სინდიკატის დირექტორი გამბე, რომელმაც გაილაშქრა ფასების შემცირების წინააღმდეგ. ახალმა დირექტორმა წარმოების გადიდების და მოწყობილობის გაუმჯობესების საშუალებით უნდა მისცეს გერმანიის კალიუმის მრეწველობას ფეხზე დადგომის შესაძლებლობა.

კომუნისტების გავლენა ძლიერდება

კომუნისტების გამარჯვება მუნიციპალურ არჩევნებში საქსონიაში.

ბერლინი. 15 იანვარი. ქვრას საქსონიის ქალაქებში მოხდა მუნიციპალური არჩევნები; არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა დამარცხდა თითქმის ყველა დიდ ქალაქებში. დამარცხდენ აგრეთვე სახალხო პარტია და დემოკრატები. გაიმარჯვეს კომუნისტებმა, რადიკალ-სოციალისტებმა და ნაციონალისტებმა.

პარიზი. 15 იანვარი. საქსონიის მუნიციპალურ არჩევნების შედეგი ასეთია: ლეიპციგში ბურჟუაზიულმა პარტიებმა მიიღეს 38 ადგილი, კომუნისტებმა 35; პლაუენში 38 ადგილი მიიღეს კომუნისტებმა და 23 სოციალ დემოკრატებმა.

მთავრობის „ზომები"

შეთანხმება ტიურინგიასთან

პარიზი. 15 იანვ. გერმანიის საიმპერიო მთავრობასა და ტიურინგიის შორის მიღწეულია შეთანხმება. საიმპერიო მთავრობა აღარ გაგზავნის ტიურინგიაში თავის კომისრებს.

მხოლოდ ჯამაგირის ნახევარი.

ბერლინი. 13 იანვ. ბერლინის მაგისტრატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ქალაქის ფინანსებს კრიზისის გამო, ქალაქის მოხელეებს დანიშნულ დროზე მიეცემათ მხოლოდ ჯამაგირის ნახევარი. დანარჩენი თანხის მიცემა გადადებული იქნება შემდეგისათვის.

ტიურინგიის სოციალ დემოკრატიულ დაწესებულებების წინააღმდეგ.

ბერლინი. 13 იანვ. გრძელდება ტიურინგიის სოციალ-დემოკრატიულ დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართული კამპანია.

რუდოლის ქალაქის თვითმართველობას კონტროლს უწევს საიმპერიო ხელისუფლება. გადააყენეს გოტის პოლიციის კომისარი, რომელსაც ბრალდება ყალბი დოკუმენტების დამზადება. დათხოვნილ სოციალ-დემოკრატ მოხელეების ადგილებზე ნიშნავენ მემარჯვენე პარტიების მომხრეებს.

მუშათა მოძრაობა

მუშები ფრთხილად არიან.

ბერლინი. 13 იანვარი. ჰელზენკირხენის მეღითონეთა კავშირმა გამოაცხადა საერთო გაფიცვა. მუშაობა შეწყდა. მოხდა მთელი რიგი შეტაკებებისა გაფიცულთა და პოლიციის შორის.

დიუსელდორფში და ზოლინგენში საერთო გაფიცვაა. მუშაობა შეწყდა ყველა ქარხნებში და წარმოებებში. საგაფიცვო კომიტეტი შედგენილია პროფკავშირების და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წარმომადგენლებისაგან პარიტეტულ საფუძველზე.

რეინის ოლქის ნახშირის მრეწველობის მუშები წინააღმდეგი არიან სამუშაოს დროის გადიდების და შრომის ხელფასის შემცირების. კელნის ოლქის ქიმიურ და ლითონის მრეწველობაში ადგილი აქვს ნაწილობრივ გაფიცვას. უმუშევრები არ უშვებენ შტრეიკბრეხერებს წარმოებაში.

უმუშევართა მოძრაობა.

ბერლინი. 12 იანვარი ტიურინგიის მრავალ ქალაქში უმუშევრებმა უარი სთქვეს იძულებით სამუშაოზე. უარი სთქვეს სამუშაოზე აგრეთვე ბერლინის უმუშევრებმა ლიხტენბერგში უმუშევრები შეიჭრენ მდიდრულად მორთულ რესტორნებში და გამორეკეს იქიდან მოსადილეები. ვესტფალენში უმუშევრებმა აიძულეს ბურგომისტრი მონაწილეობა მიეღო დემონსტრაციაში. შვეინში უმუშევრებმა ჩაკეტეს ქალაქის გამგეობის შენობაში ბურგომისტრი და მოხელეები იმისთვის, რომ მათ უარი განაცხადეს დახმარების გაცემაზე.

დაცემულს ხელს.

ბერლინი. 12 იანვარი. გამოქვეყნებულია შრომის სამინისტროს დადგენილება იმის შესახებ, რომ იმ უმუშევრებს, რომლებიც არ წავლენ სამუშაოზე, სადაც მუშაობა სწარმოებს 10 საათი, მოესპობათ დახმარების მიცემა.

გერმანია და ანტანტა

დემონსტრაციები სამხედრო-საკონტროლო კომისიის წინააღმდეგ.

ბერლინი. 12 იანვარი. შტუტგარდტში მოკავშირეების საკონტროლო კომისიის ჩასვლის გამო, სამხედრო სამინისტროს წინ თავი მოიყარა [illegible], რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ახალგაზრდობისაგან. ნაციონალისტური ელემენტების წაქეზებით ბრბო მღეროდა პატრიოტულ სიმღერებს და ცდილობდა აქტიურად გამოსვლას საკონტროლო კომისიის ოფიცრების წინააღმდეგ. ამ ცდას ხელი შეუშალეს პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა. საკონტროლო კომისიის ავტომობილს მინები ჩამტვრეული იქნა. საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაგრძელდა მთელი დღე და განმეორდა საღამოს, საკონტროლო კომისიის ოფიცრების ბინის წინ. ერთ-ერთი დემონსტრანტი, რომელიც ცდილობდა ქვების დარიგებას ბრბოსათვის, დააპატიმრეს.

გერმანიის ნოტა საკონტროლო კომისიის შესახებ.

ბერლინი. 12 იანვარი. გენერალ ნოლეს სახელზე გაგზავნილ ნოტაში გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ საკონტროლო კომისიის მიერ სამხედრო დაწესებულებათა ზედამხედველობა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ყველა მოთხოვნილებანი განიარაღების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულებაში, დიდი ხანია შესრულებულია. ვერსალის ხელშეკრულება მოითხოვს კონტროლის გაუქმებას განიარაღების შემდეგ სპეციალური ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს იქნეს მხოლოდ ერთა ლიგის საბჭოს ნებართვით ამის გამო საკონტროლო მუშაობა უნდა განისაზღვროს ამოცანების გარკვეული რაოდენობით. ამ მხრით გერმანიის მთავრობა მზად არის გაუწიოს კომისიას სრული დახმარება. მაგრამ ეს ამოცანები არავითარ შემთხვევაში არ მიითხოვენ საზღვრო დაწესებულებების დათვალიერებას.

ექსპერტთა კომისიაში

პარიზი. 14 იანვ. დღეს დაიწყო მუშაობა ექსპერტთა კომისიამ.

საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარემ ბარტუმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ კომისია სასწაულს არ მოელის საკონტრიბუციო საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრისაგან, მაგრამ ამყარებს იმედებს ექსპერტების გამოცდილებასა და ავტორიტეტზე.

ბარტუს სიტყვით, ვერსალის ხელშეკრულება არის ხარტია, რომლის ფარგლებშიც უნდა სწარმოებდეს კომისიის მუშაობა.

საჭიროა გამოსავალის გამონახვა, ვინაიდან მასში არის დაინტერესებული არა მარტო გერმანია და მისი კრედიტორები, არამედ ამაზე არის დამოკიდებული მთელი მსოფლიოს წონასწორობა.

დასასრულ ბარტუმ მადლობა გადაუხადა ამერიკას მისი ექსპერტების მიერ საქმისათვის გაწეულ დახმარებისათვის და სთხოვა გენერალ დევისს მიიღოს თავის თავზე კომისიის თავმჯდომარეობა.

გენერალმა დევისმა მოაგონა შეკრებილთ მოკავშირეთა თანამშრომლობის შესახებ ომის დროს და მისალმა საკონტრიბუციო კომისიის მიერ ექსპერტთა კომისიის მოწვევას.

დევისის აზრით, ექსპერტთა კომისიის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს გერმანიის ფინანსების სტაბილიზაცია.

ფრანგები და სეპარატისტები

„საფრანგეთის მეგობარი"

ბერლინი. 12 იანვარი. პფალცის სეპარატისტული მთავრობის მოკლულ პრეზიდენტის გეინც ორბისის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის გენერალმა დე-მეტმა, რომელმაც მოკლულს უწოდა „საფრანგეთის მეგობარი" და დასდო მის საფლავზე გვირგვინი.

მცირე ანტანტის კონფერენცია

მცირე ანტანტის კონფერენციაზე რუმინეთის პრემიერმა დუკამ განაცხადა, რომ რუმინეთი ძლიერ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენით.

ბენეშის სიტყვით, თუმცა კონფერენციამ არ განიხილა რუსეთის საკითხი, მაგრამ ჩეხო-სლოვაკიისათვის, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი დღის წესრიგში დგახო.

სამხრეთ-სლავიის პრემიერმა პაშიჩმა იმედი გამოსთქვა, რომ „ბენეშის მომავალი კონფერენციისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის რუსეთის საკითხის განსახილველადო".

„მწარმოებლების" კარნახი.

პრაღა. 13 იანვარი. მცირე ანტანტის კონფერენციის პირველმა სხდომამ, რომელზედაც განხილული იქნა საერთაშორისო მდგომარეობა, ცხად ჰყო კონფერენციის მონაწილეთა სოლიდარობა. კონფერენცია ერთხმად დაადგინა არ აიღოს თავის თავზე ინიციატივა რუსეთის საკითხში და შეუთანხმოს თავისი პოლიტიკა ამ საკითხში დიდი სახელმწიფოების პოზიციას.

ლაქიების პოლიტიკა.

პრაღა. 13 იანვარი. ეხება რა მცირე ანტანტის კონფერენციის დადგენილებას გამო რუსეთის საკითხის შესახებ, სამხრეთ-სლავიის პრესა უმრავლესობა საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

ამავე დროს რადიკალური პარტიის მთავარმა ორგანომ, სამოუპრავამ, მოათავსა პარიზში სამხრეთ-სლავიის ელჩის სპალაიკოვიჩის განცხადება, რომელშიც სასტიკად ილაშქრებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს სამხრეთ სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა განაცხადა, რომ სპალაიკოვიჩი გამოხატავს საკუთარ აზრს, რომელსაც სამხრეთ-სლავიის მთავრობა არ იზიარებს.

სპალაიკოვიჩის წინააღმდეგ.

პრაღა. 13 იანვარი. მთელი ბელგრადის პრესა სასტიკად ილაშქრებს სპალაიკოვიჩის განცხადების წინააღმდეგ.

ბენეშმა კმაყოფილება გამოსთქვა ნინჩიჩის განცხადების გამო, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობა არ იზიარებს სპალაიკოვიჩის პოზიციას.

რუმინეთის აზრი.

პრაღა. 12 იანვარი. გაზ. „პრაგერ ტაგებლატ"-ის თანამშრომელთან საუბარის დროს რუმინეთის ელჩმა ბელგრადში დიამანდიმ განაცხადა, რომ რუმინეთის აზრით რუსეთის საკითხს კონფერენციაზე არა აქვს აქტუალური მნიშვნელობა, ამიტომ რუმინეთს განზრახვა აქვს დაკმაყოფილდეს მხოლოდ საზღვრების საკითხის განხილვით, ბესარაბიის საკითხის გამოკლებით.

პოლონეთი განზე დგას.

პრაღა. 12 იანვარი. პოლონეთი სრულიად არ არის წარმოდგენილი მცირე ანტანტის კონფერენციაზე. პოლონეთის ელჩი ბელგრადში ოკენცკი განზე დგას მოლაპარაკებიდან.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ოკენცკიმ განაცხადა, რომ სანამ კონფერენცია არ გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას საბჭოთა მთავრობისადმი, პოლონეთს არ შეუძლია გარკვეული პოზიცია დაიჭიროს მცირე ანტანტის სახელმწიფოებისადმი, რადგან პოლონეთი ყველაზე უფრო არის დაინტერესებული რუსეთის საკითხში.

ოკენცკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთს გადაწყვეტილი აქვს დაიმორჩილოს ბენეშის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, მაგრამ, როგორც 30 მილიონ მცხოვრებიან სახელმწიფოს, მას უფლება აქვს დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს აღმოსავლეთ ევროპის მიმართ.

საფრანგეთს უცდიან.

პრაგა. 12 იანვარი. აფასებს რა კონფერენციის შედეგებს ჩეხური გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“ ხაზს უსვამს, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები საფრანგეთზე ადრე არ იცნობენ საბჭოთა რუსეთს.

„ტრიბუნა“ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ზეიმს ნაადრევათ სთვლის.

ბენეში კონფერენციის შესახებ.

ვენა. 13 იანვარი. მცირე ანტანტის კონფერენციაზე ბელგრადში რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ განაცხადა, რომ რუმინეთს სურს რაც შეიძლება ჩქარა დაამყაროს რუსეთთან კარგი დამოკიდებულება, რომ ამით საბოლოოთ მოაგვაროს ბესარაბიის საკითხი.

სამხრეთ სლავიის პრემიერმა პაშიჩმა იმედი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მცირე ანტანტის შემდეგ კონფერენციისათვის ბენეში მოამზადოს ნიადაგი მცირე ანტანტის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხის ერთსულოვნათ გადაწყვეტისათვის.

სამხრეთ სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი ნინჩიჩი უარყოფდა ხმებს იმის შესახებ, თითქოს სამხრეთ-სლავია გავლენას ახდენდეს საბერძნეთზე მმართველობის ამა თუ იმ ფორმის სასარგებლოთ.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ბენეშს და დუკას საუბარი ჰქონდათ პრესის წარმომადგენლებთან. ბენეშმა განაცხადა, რომ რუსეთის დეიურე ცნობის საკითხის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ ირის მიღებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩეხო-სლოვაკია შორს არ არის ახეთი ცნობისაგან. ცალკე მთავრობებმა ამ საკითხში ანგარიში უნდა გაუწიონ თავის ქვეყნების რეალურ ინტერესებს. ბენეშმა აღნიშნა, რომ ფიუმეს საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არ არის არავითარი დაბრკოლება შეთანხმების დადებისათვის პოლონეთ-ჩეხიის შორის.

დუკამ განაცხადა, რომ ის მეტისმეტად დაინტერესებულია რუმინეთის და რუსეთის ურთიერთობის საკითხით; მაგრამ, რუმინეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იძულებულია განსაკუთრებული პოზიცია დაიჭიროს ამ საკითხში. დუკამ აღნიშნა, რომ ზოგიერთ ცალკე საკითხების შესახებ რუმინეთსა და რუსეთს შორის სწარმოებს მოლაპარაკება.

დუკას სიტყვების თანახმათ, საფრანგეთ-ჩეხიის საკავშირო ხელშეკრულება გავრცელებული არ იქნება მცირე ანტანტის სხვა სახელმწიფოებზე, ყოველ შემთხვევაში ამჟამად.

საუბარი ბენეშთან.

ვენა 13 იანვარი. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ბენეშმა განაცხადა, რომ უნგრეთს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია თავისი ვალდებულება, რაც წინასწარი პირობაა მისთვის სესხის მიცემისათვის. მცირე ანტანტის უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე საკითხმა უნგრეთზე სამხედრო კონტროლის დანიშვნის შესახებ, რადგან უნგრეთი ჯერჯეროობით არ ასრულებს ტრიანონის ხელშეკრულების პირობებს.

ბენეშმა აღნიშნა, რომ სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის მიღწეულია შეთანხმება, მაგრამ მან უარი განაცხადა პასუხი მიეცა კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს დაახლოვება აგრეთვე კავშირს ორივე ქვეყნებს შორის.

ბენეშის სიტყვების თანახმად, მცირე ანტანტა რუსეთის საკითხში აწარმოებს დაცდის პოზიციას. იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ პოზიციას ადგია რუსეთის მიმართ სხვა სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი და იტალია, მცირე ანტანტა იტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

ბულგარეთის საკითხში მცირე ანტანტის სახელმწიფოები ერთი აზრის არიან და მოითხოვენ ბულგარეთისაგან ხელშეკრულებების შესრულებას.

შემდეგი კონფერენცია.

პარიზი. 15 იანვ მცირე ანტანტის შემდეგი კონფერენცია შესდგება პრაგაში ივნისში ან ივლისში.

ჩეხიის პრესა იტყობინება, რომ გადაუწყვეტელი საკითხები გადაჭრილი იქნება დაინტერესებული ქვეყნების გარეშე საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებით.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

იტალია

საფრანგეთის თავხედური ჩარევა.

ლონდონი. 13 იანვ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში საფრანგეთის ელჩმა რომში ბარერმა გაუგზავნა მუსოლინის წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ვერავითარი ეკონომიური სარგებელი, რომელსაც იტალია მიიღებს ხელშეკრულებიდან საბჭოთა რუსეთთან, ვერ აანაზღაურებს იმ პოლიტიკურ ზიანს, რომელსაც მიაყენებს ის თავის თავს და თავის მეგობრებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ცნობით. იტალიის წრეები ლონდონში ამ უხირცხვილოთ ჩარევას იტალიის საქმეში დიდი განცვიფრებით უცქერიან, ვინაიდან, იქაური ცნობით, საფრანგეთის დიპლომატიამ თვითონ გადადგა ამ დღეებში ნაბიჯები ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის საშუალებით საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დასაწყებად.

ფიუმეს საკითხი

შეთანხმება მიღწეულია.

რომი. 15 იანვარი. ბელგრადის გაზეთები იტყობინებიან, რომ ფიუმეს საკითხი შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს; გაზეთების სიტყვების თანახმად, რომი და ბელგრადი ამ ჟამად იმუშავებენ პოლიტიკურ ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იქნება ორივე სახელმწიფოს შორის. ოფიციალური წრეები და პრესა კმაყოფილებით შეხვდენ ამ ცნობას.

რომი. 15 იანვარი. ფიუმეს საკითხის გადაწყვეტის გამო, ბელგრადის ზოგიერთი გაზეთი აღნიშნავენ, რომ ჩეხო-სლოვაკიის მისწრაფება შეიყვანოს სამხრეთ-სლავია საფრანგეთ ჩეხო-სლოვაკიის კავშირის ორბიტაში, მარცხით დამთავრდება, რადგან სამხრეთ-სლავიის მთავრობას ურჩევნია მეგობრული დამოკიდებულება იტალიასთან, ვიდრე საფრანგეთთან.

ინდოეთში

სრულიად ინდოეთის ხალიფატის სესია.

თეირანი. 14 იანვარი. ინდოეთიდან მიღებული ცნობით, გაიხსნა სრულიად ინდოეთის ხალიფატის მე-10-ე სესია. თავმჯდომარეთ არჩეულია შაუკეტ-ალი. მისმა სიტყვამ მიიპყრო მთელი სახელმწიფოს ყურადღება. „თვითეულმა მუსლიმანმა, სთქვა მან, გაიცნო ახლა დიდი-ბრიტანეთი. ჰკითხეთ მთელის ყოველი კუთხის ყოველ მუსლიმანს, — ვინ არის უდიდესი მტერი ისლამის, და თქვენ მიიღებთ პასუხად — დიდი ბრიტანეთი. ინდოეთის მთავრობას შეეძლო ლიდერების მოკვლა, მაგრამ ის ვერ მოჰკლავს ხალიფატურ მოძრაობას“.

ორატორმა სასტიკად გააკრიტიკა ინგლისის პოლიტიკა ინდოეთში და მოითხოვა არაბეთის დაუყონებლივ გადაცემა მუსლიმანებისათვის. შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ ინდოეთის მუსლიმანები წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ ომს. შეეხო რა ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტს, ორატორმა მოითხოვა მთავრობისაგან ავღანისტანის თავის დანებება და საზღვარზე მომხდარი ინციდენტების მოსაგვარებლად კონგრესის კომისიის გაგზავნა. მთავრობას უნდა ახსოვდეს, განაცხადა ორატორმა, რომ თვითეული ომის წარმოება მეზობელ მუსლიმანების სახელმწიფოებთან ინგლისს მოუხდება მხოლოდ თავისი საკუთარი ჯარისკაცებით და თავისივე ფულით. ნაციონალურ წრეებში ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ინდოეთის ნახევრად ოფიციოზში ამ სიტყვას უწოდებს ღალატს.

ინგლისის ხელისუფლება, რომელიც შეშფოთებულია ავღანისტანის საკითხის შესახებ ყველაზე პოპულარულ ლიდერების მუსლიმან ძმების ალიების გამოსვლით, სთესავს შუღლს ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის, ავრცელებს რა ხმებს, თითქოს ძმანი ალიები მოსყიდული არიან ავღანისტანის ემირის მიერ, რომელიც ცდილობს მუსულმანურ იმპერიის შექმნას ინდოეთში მისი მეთაურობით. ძმებმა ალიებმა საჯაროთ უარჰყვეს ეს ჭორები კონგრესის აღმასკომის სხდომაზე, სადაც კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ავღანისტანთან ომის წარმოების შემთხვევაში, მუსლიმანები წინააღმდეგობას გაუწევენ ომს.

ოსმალეთის ამბები

სულთანის საიდუმლო ორგანიზაცია.

ანგორა. 13 იანვარი. სტამბოლში დაიწყო სულთანის საიდუმლო ორგანიზაციის პროცესი, რომელიც მოქმედებდა რესპუბლიკის და ქემალის პიროვნების წინააღმდეგ. პროკურორი მოითხოვს ორგანიზაციის გაქცეულ მეთაურების ყოფ. გუბერნატორის აბდულ კადირის და სტამბოლის დეპუტატის შუკრის გასამართლებას.

საბჭოთა კავშირის მილოცვა.

ანგორა. 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის სამხედრო ატტაშემ მიულოცა თავდაცვის კომისარს პირველ გამარჯვებათა 3 წლის თავი. კომისარმა მადლობა გადაუხადა მას იმ მორალურ და მატერიალურ დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა რუსეთმა აღმოუჩინა ოსმალეთს.

ჩესტერის კონცესიები.

ანგორა 13 იანვარი კენნედიმ პროტესტი განაცხადა ჩესტერის პროექტის გაუქმების წინააღმდეგ, დაემყარა რა ის სამსუნში დაწყებულ მუშაობას და იმ გარემოებას, რომ მთავრობას არ აქვს კომპეტენცია მსჯელობა იქონიოს კამპანიის ფინანსიურ შესაძლებლობაზე.

უცხოეთის საზოგადოებების დახურვა.

ანგორა. 13 იანვარი. რეგისტრაციაში გატარებაზე და ფულის გარანტიების შეტანაზე უარის თქმის გამო, ხელისუფლებამ დახურა უცხოელთა 219 საზოგადოება, მათ შორის თეთრგვარდიელების 10 საზოგადოებაც.

რიზა-ნური-ბეის მოსკოვში გამგზავრება.

ბერლინი. 14 იანვარი. ანგორის ეროვნულ კრების წევრი რიზა ნური ბეი გაემგზავრა მოსკოვში.

პარიზი 15 იანვარი სტამბოლიდან მიღებულ ცნობის თანახმად, სმირნაში მყოფმა მუსტაფა ქემალმა ინახულა ადგილობრივი სკოლები.

სხვადასხვა

ჩინეთი

გარეშე საქმეთა მინისტრი.

ბერლინი. 15 იანვარი. სუნ-პაოჩის ახალ კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ველინგტონ-კუ.

საფრანგეთი.

ერრიოს სიტყვა დეპუტატთა პალატაში.

ბერლინი. 15 იანვარი. რადიკალების ლიდერმა ერრიომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ რურის ოკუპაციას არ შეუძლია გადაჭრას საკონტრიბუციო პრობლემა. ეს მოგვაგონებსო, სთქვა მან, ძველი დროის გამარჯვებულს, რომელიც მიითრევდა გაბაწრულ დამარცხებულს, ნამდვილად კი დამარცხებულიც და გამარჯვებულიც შეკოჭილები არიან ერთი და იმავე ბაწრით. პუანკარემ ამ სიტყვაზე განაცხადა, რომ ექსპერტებს, რომლებიც არკვევენ გერმანიის გადახდის უნარიანობას არავის არ დაუვალებია შეამცირონ გერმანიის ვალის რაოდენობა, მაგრამ უნდა სცენ პატივი ვერსალის ხელშეკრულებას.

კერზონის მახინაციები.

პარიზი. 12 იანვ. გაზ. „ისტრობპმა“ გამოაქვეყნა ლონდონიდან მიღებული წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ფრანკის კურსის დაცემა გამოწვეულია კერზონის მახინაციებით, რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს საფრანგეთის მთავრობაზე, რათა უკანასკნელმა ყოველმხრივ ხელი შეუშალოს მაკდონალდის მთავრობასთან დაახლოვებას.

საბერძნეთი.

ვენიზელოსის კაბინეტი.

რომი. 15 იანვარი. ათინიდან მიღებულ ცნობებს თანახმად გაიმართა ახალი კაბინეტის პირველი სხდომა. ვენიზელოსმა წარადგინა მთავრობის პროგრამა და განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა მთავრობაში აქვს დროებითი ხასიათი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა საკავშირო მეორე ყრილობის გადადება.

მოსკოვი. 15 იანვარი. საბჭოთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობა გადადებულია 22 იანვრისათვის, ხოლო საბჭოთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა 19 იანვრისათვის.

დახმარება გერმანელ მუშებს.

მოსკოვი. 15 იანვარი პირველ იანვრისათვის მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტმა მიიღო გერმანიის დამშეულთა სასარგებლოდ: 150 000 დოლარი — არგენტინის მუშებისაგან, 4 000 გულდენი — ჰოლანდიელ მუშებისაგან, 20 000 ფრანკი საფრანგეთის მუშებისაგან, 35.000 ჩეხო სლოვაკიის მუშებისაგან.

ვინ მოიგო 100.000 მანეთი.

მოსკოვი. 15 იანვარი. ოქროს მოგებიანი სესხის უკანასკნელი ტირაჟის დროს 100.000 მანეთი მოიგო ეკუშევარმა შპიცინმა ეკატერინბურგში.

დახმარება ყირიმის გლეხობას

სიმფეროპოლი. 14 იანვარი. ყირიმის სოციალურ უზრუნველყოფის ცენტრალურმა საგლეხო სექციამ აღძრა შუამდგომლობა ცენტრის წინაშე ქარიშხალისაგან დაზარალებულ მევენახეთათვის დასახმარებლად სათანადო თანხის გადადების შესახებ.

შორეული აღმოსავლეთი მიილის რუსულ მანუფაქტურას.

ომსკი. 14 იანვარი. შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის რწმუნებულის ცნობით, შორეული აღმოსავლეთი მიილის რუსულ მანუფაქტურას. შემოდის მრავალ მოთხოვნილებანი მანუფაქტურაზე ჩინეთიდან და იაპონიიდან.

გრიგალის ეკონომიური შედეგები.

ოდესა. 14 იანვარი. ამასწინედ მომხდარ გრიგალის გამო დაირღვა გემების ექსპლოატაციის გეგმა. ტვირთების გამგზავნელები თავს იკავებენ გაგზავნისაგან. ტვირთების გადატანა მნიშვნელოვნად შემცირდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყრილობა.

მოსკოვი. 15 იანვარი. 22 თებერვალს მოსკოვში შესდგება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყრილობა. გაერთიანებები, რომელშიაც ირიცხება 20 000 წევრი, გზავნიან ერთს, ოციდან 50.000 — ორს და 50.000 ზევით სამ რწმუნებულს.

ფინანსიური კრიზისის ლიკვიდაცია

საუბარი ამხ. სოკოლნიკოვთან.

მოსკოვი. 15 იანვ. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საკავშირო საბჭოთა ყრილობას წარუდგენს პროექტს, [illegible] გათვალისწინებულია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ყოველმხრივ განვითარება და მისი კლასობრივი ხასიათის გამოაშკარავება, ადგილობრივ გადასახადების შემცირება და არანაყოფიერი მოხმარების დაზღვევა.

განზრახულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება ოქროს მანეთებში, ულარიბესი ფენებისათვის გადასახადის შემცირების ან გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლების პრინციპის დატოვებით.

ფულის ტრიალის რეფორმა გამოიხატება მტკიცე ფულის გამოშვებაში სახელმწიფო და სახაზინო ბილეთების სახით 5, 3 და ერთი მანეთის ღირებულების ოქროთი. პირველ რიგში გამოშვებული იქნება სახაზინო ბილეთები. ბანკნოტებს რჩებათ თავისი ძველი მნიშვნელობა.

მტკიცე ვალიუტაზე საბოლოო გადასასვლელათ სახელმწიფო უნდა შეუდგეს საბჭოთა ფულის ნიშნების გამოსყიდვას სპეციალურათ დაწესებული [illegible]

ფულის რეფორმის დასრულება შექმნის სახელმწიფოში ერთიან მტკიცე ვალიუტას, რომელიც განთავისუფლებს ფულის ტრიალს აუცილებელ დაბრკოლებებისაგან პარალელურად საბჭოთა ფულის ნიშნების და ბანკნოტების ტრიალის პირობებში, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ვაჭრობისა და მრეწველობის გაჯანსაღებას და მისცემს მუშებსა და გლეხობას მტკიცე ფულის ნიშნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემოსავალს.

მიმდინარე წელი იქნება ფინანსიური კრიზისის საგრძნობად ლიკვიდაციის წელი, რომლითაც დამთავრდება ფინანსიური მშენებლობის პერიოდი.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა თათბირი

რეზოლიუციების მიღება.

მოსკოვი. 15 იანვ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა საკავშირო თათბირი მიღებულ რეზოლიუციაში მიუთითებს საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის უფრო შეღავათიანი პირობების შექმნის საჭიროებაზე.

ამხ კრასინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის შესახებ, თათბირი იღაშქრებს საქონლის ინტერვენციის წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ გამოსვლა შექმნილი მდგომარეობიდან შეიძლება მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების წარმოების ნაყოფიერების გაძლიერებით, სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებისათვის ფინანსიური დახმარების მიცემის მოწესრიგებით, აქციზების და გადასახადების შემცირებით, დამატებითი ხარჯების შემცირებით და სხვა.

რეზოლიუცია ხაზს უსვამს, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დაცვა და მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი იქნება არა მარტო მომწესრიგებელი, არამედ მომქმედი ორგანოც.

ამხ კრასინის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განუწყვეტელი კავშირის არსებობას კომისარიატის მუშაობასა და საბჭოთა მთავრობის პრინციპიალურ ამოცანებს შორის, რომლებიც საფუძვლად უდევს თითეულ კომუნისტის მუშაობას, რომელიც იბრძვის მსოფლიო სოციალური რევოლიუციისათვის.

მსოფლიო ომმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა კაპიტალისტურ წყობილებას. ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები ვერ შესძლებენ მსოფლიო ომის მიერ დარღვეული წონასწორობის აღდგენას.

ევროპისა და ამერიკის მუშების თანაგრძნობა ჩვენდამი უზრუნველგვყოფს ჩვენ ინტერვენციის საფრთხისაგან.

ჩვენმა ეკონომიურმა აღორძინებამ საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა, უნდა გადაგვექციოს ჩვენ ძალად, რომელიც ყოველ წამში შეძლებს სამხედრო ინტერვენციის მოგერიებას.

ეს ეკონომიური აღდგენა და საბჭოთა ძლიერი კავშირის შექმნა შესაძლებელია განსაზღვრულ ეკონომიურ საფუძველზე: ეს არის მუშათა და გლეხთა კავშირი, თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, ჩვენ უძლეველი ვიქნებით და შევძლებთ თუგინდ 25 წელიწადი უცადოთ მსოფლიო რევოლიუციას.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანის — მუშათა და გლეხთა შორის კავშირის დამყარების საქმეში — უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამხ. კრასინმა დასასრულ გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალი თათბირი უფრო უკეთეს პირობებში შეიკრიბება, ვიდრე მიმდინარე.

ესერების ც. კ. წევრების საქმე

მოსკოვი. 15 იანვარი. 15 იანვარს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა გადასინჯა რა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება უმაღლეს ტრიბუნალის მიერ მეამბოხე ესერების ცენტრალურ კომიტეტის წევრთა საქმის შესახებ გამოტანილ განაჩენის პირობითი შეჩერების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ თუმცა ცეკას არ შეუწყვეტია თავისი კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების საერთო გამტკიცების, მისდამი მშრომელ მასების ნდობის და საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდის გამო, ამ ერთ მუჭა გაბოროტებულ ემიგრანტების და ჩვენს ქვეყანაში დარჩენილ მათ თანამოაზრეების, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს მშრომელთა მასებთან, არ შეუძლიათ ამჟამად რაიმე საშიშროების შექმნა — შეუცვალა უმაღლესი სასჯელი გოცს, დონსკოის, გერშტეინს, გენდელმანს, ლიხაჩევს, ივანოვს, რატნერს, ტიმოფეევს, აგაპოვს, ალტოვსკის და ივანოვას 5 წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით, და შეუმცირა თავისუფლების აღკვეთის ვადა ლიბეროვს, არტემიევს, რაკოვს, ფედოროვიჩს და ვედენიაპინს 5 წლამდის, უტოფს, ბერგს და ლვოვს კი — 2-ნახ. წლამდის წინასწარი დამწყვდევის ჩათვლით. განთავისუფლებულთ ეკრძალებათ 3 წლის ვადით საბჭოთა კავშირის სამრეწველო და მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში ცხოვრება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის ხსოვნას.

ბაქო. 14 იანვარი. 15 იანვარს, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მოკვლის 5 წლის თავზე, აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს კომიტეტი ყველა უბნებში მართავს მათი ხსოვნის აღსანიშნავ საღამოებს.

კოოპერაცია ეკრანზე.

ბაქო. 14 იანვ. „აზერიტტკოპაკმა“ (აზერბეიჯანის კავშირი) მოლაპარაკება გამართა აზერბეიჯანის ფოტოკინოს სამმართველოსთან, რომ მან ეკრანისათვის გადაიღოს სურათები კოოპერატიულ მოძრაობის ყოფამდგომარეობისა.

კულტურული საჭიროებისათვის.

ბაქო. 14 იანვ. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულობა დასდო აზერბეიჯანის სამთომადნო მუშაკთა კავშირთან, რომლის ძალითაც კულტურულ საჭიროებათა სასარგებლოდ უნდა გადაირიცხოს ხოლმე ხელფასის ერთი სამი მეოთხედი პროცენტი და არა 3 პროცენტი, როგორც დღევანდლამდე იყო. ამგვარად კულტფონდის რაოდენობა ამ ჟამად თვეში შეადგენს 24,000 მანეთს, 33,000 მანეთის ნაცვლად. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ იკისრა როგორც სახელდახელო, ისე კაპიტალური რემონტის გაკეთება კლუბებისა, მათი განათება, გათბობა, წყლის მიწოდება, ტელეფონების გამართვა და ერთდროული მოწყობა, სამთომადნო მუშაკთა კავშირის ყველა კლუბები მიამაგრეს მათანადო სამეურნეო ერთეულებზე.

სომხეთი.

ბამბის კამპანია.

ერევანი. 14 იანვარი. ბამბის კამპანიის საორგანიზაციოდ შესდგა კომისია ამხ ერზიკიანის თავმჯდომარეობით და ცენტ. სასტატისტ. სამმართველოს, რ. ს. ფ. ს. რ. მებამბეობის მთავარ კომიტეტისა და სომხეთის კოოპერაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს გეგმა ბამბის თესვის წარმოებისა. ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს ეკონომიურ საბჭოს დავალებული აქვს 10 თებერვლამდე დაამზადოს ყველა საჭირო მასალები მებამბეობის შესახებ, ხოლო 1 თებერვლისათვის კი მზად იქონიოს წინასწარი ცნობები. სომხეთის კოოპერატივს დაევალა მიწათმოქმედების კომისარიატთან ერთად წარადგინოს პროექტი მებამბეთა კავშირის ორგანიზაციისა. ამ ახლო ხანში მოიწვევენ მებამბეთა ყრილობას.

უმუშევართა გაწმენდა.

ერევანი. 14 იანვარი. განზრახულია აქვთ სასწრაფო წესით მოახდინონ უმუშევართა გაწმენდა.

ფასების დაწევა.

ერევანი. 14 იანვარი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, იანვრის დამდეგიდან საგრძნობლად დასწიეს ფასები „არარატი“-ს ღვინო-კონიაკის ტრესტის ღვინოზე, კონიაკზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 წლის თავი.

ერევანი. 14 იანვარი. ერევნის უნივერსიტეტის 3 წლის არსებობის დღესასწაულის მომწყობი კომისია მუშაობას შეუდგა. განზრახულია საზეიმო სხდომის მოწვევა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ერევნის ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. მოსკოვის საგუბერნიო კონფერენცია

ამხ. ზელენსკის სიტყვა.

მოსკოვი. 12 იანვარი. გახსნა რა კონფერენცია, ამხ. ზელენსკიმ აღნიშნა, რომ მძლავრ მდგომარეობას მოსკოვის ორგანიზაციაში ბოლო უნდა მოეღოს, ჯამი უნდა გაუკეთდეს იმ გამწვავებულ დისკუსიას, რომელმაც შეარყია ჩვენი ორგანიზაცია. კონფერენციამ უნდა გამოიმუშაოს მუშაობის მიმართულება, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს მომავალ არჩევნებამდი. იმისგან, თუ რას იტყვის მოსკოვის ორგანიზაცია, დამოკიდებულია, თუ როგორი იქნება ჩვენი პარტიის ცხოვრება მომავალში.

პრეზიდიუმის არჩევნები.

პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. კამენევი, ზელენსკი, მელნიჩანსკი, მიხაილოვი, ზახაროვი, კოტოვი, ბელენკი, კარავაი, სიმიკოვი, ბოგაჩოვი და ურიგაევი საპატიო წევრებათ: ამხ. ლენინი, ზინოვიევი, სტალინი და ტროცკი.

ამხ. კამენევის მოხსენება.

ამხანაგი კამენევი თავის მოხსენებაში პარტიული მშენებლობის და პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩვენს დისკუსიას. საჭიროა ვცოდეთ, სთქვა მან, რომ ჩვენ ვდაობთ არა უბრალო საქმეების გამო.

დისკუსიის სახით მუშური დემოკრატიის და ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსის შესახებ ჩვენ ვიხილავდით მნიშვნელოვან საკითხს: არსებობს თუ არა პარტიაში სწორი ხელმძღვანელობა. ჩვენს წინაშე დგას ფორმალური და გარკვეული ბრალდება ასეთი ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს. ბრალდება წამოყენებული იქნა 46 ამხანაგის, მათ რიცხვში ამხ. პიატაკოვის, პრეობრაჟენსკის, ოსინსკის, სერებრიაკოვის და სხვების მიერ, რომლებიც პასუხსაგებ მუშაობას ეწევიან და ახლო დგანან ც. კ. მუშაობასთან.

ამიტომ ამ ბრალდებისათვის გვერდის ახვევა დამშვიდებით არც პარტიას, არც ც. კ. არ შეუძლია.

ამხ. კამენევი აქვეყნებს 46 განცხადებას, 15 ოქტომბრიდან.

(გაურკვეველია)... მიუთითებს, რომ ამ ბრალდებაში არ არის არავითარი მითითება ამა თუ იმ შეცდომებზე, არ არის კრიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა ცენტრალურ კომიტეტს გაესწორებინა თავისი შემცდარი ნაბიჯები. ეს ბრალდება (გაურკვეველია)... მთავარ პოლიტიკაში, რომელიც მიუთითებს, რომ ამ პოლიტიკის გაგრძელებას ქვეყანა და მსოფლიო რევოლიუცია დაღუპვისაკენ მიყავს. პოლიტბიუროსთან არ შექმნილა ჯგუფი იმის განსახილველად, თუ ვინ არის მტყუანი და მართალი, ვინაიდან ის ფიქრობდა ისე, როგორც ყველა ჩვენ, რომ გერმანია რევოლიუციის წინ დგას, რის გამო ჩვენ არ შეგვეძლო გაგვეგზავნა გერმანიის პროლეტარიატისათვის ორი პარტიული პლატფორმა, ვინაიდან ეს იქნებოდა მისთვის უდიდესი ზიანის მიყენება. ამიტომ პოლიტბიურომ მოიწვია ც. კ. და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი მათი კანდიდატების და მსხვილი პროლეტარული ცენტრების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჩვენ შევიკრიბეთ რუსეთის ყველა კუთხეებიდან ჩამოსულ ამხანაგებთან ერთად და დაუსვით მათ ეს საკითხი.

ამ კრებაზე დადასტურებული იქნა უფრო მეტად განსაცვიფრებელი ფაქტები, რომლებიც უფრო მეტ სიძლიერეს აძლევდენ ამ ბრალდებას. როგორც სჩანს, ამხ. ტროცკი იზიარებდა მათ.

ტროცკის ავტორიტეტს ყველა იცნობს. ქვეყნის და პარტიის ხელმძღვანელობა ამხ. ლენინის ავადმყოფობის დროს და იმ პირობებში, როცა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს ამხ. ტროცკი, უდიდეს პასუხისმგებლობას და შრომას მოითხოვს. ამიტომ ც. კ. წინაშე დგას საკითხი, მართლა სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ. ც. კ. არც ერთი წევრი არ ზიდეს თავის თავზე ამ შრომას, თუ მას ზურგის გამმაგრებელათ არ ეყოლება მთელი პარტია, თუ ის აღჭურვილი არ იქნება მთელი პარტიის ნდობით.

110 ამხანაგის კრებამ დაწვრილებით განიხილა ამხ. ტროცკის და 46-ს განცხადებები.

მე ვეკითხები მოსკოვის ორგანიზაციას: სწორად მოიქცა პოლიტბიურო, როცა აკრძალა დისკუსია ამ მიმართულებით და ნამდვილათ გამოხატავდა ცენტ. კ. და ც. ს. კ. პლენუმის სხდომა მთელი პარტიის აზრს, როცა არ დაუშვა დისკუსია პლატფორმების შესახებ? ვფიქრობ, რომ მთელი პარტია (დამახინჯებულია)... მართალი იყვენ.

არა იმიტომ ავკრძალეთ ჩვენ 46 წერილის და ჩვენი პასუხის გავრცელება, რომ ვფიქრობდით, თითქო 46-ის სიტყვები უფრო დამაჯერებელი იქნება. ჩვენ არ შეგვშინებია ბრძოლის პირისპირ დაწყების. მაშ რა უნდა ეწოდოს იმ ხალხს, რომლებიც შემდეგ ავრცელებენ ხმებს თითქო ც. კ. ცდილობდა რაღაც დაემალა პარტიისგან და ამით რაღაც კაპიტალის შექმნას ფიქრობდენ.

გერმანიის რევოლუცია არ მოხდა იმ ვადაზე, როცა ჩვენ ვფიქრობდით.

დაბრკოლება, რომელიც არსებობდა, წმინდა ფორმალური იყო: ც. კ. და ც. ს. კ. აკრძალვის სახით. მაგრამ ჩვენ ეს დისკუსია მივიღეთ სხვა სახით და სხვა მიზეზის გამო: მივიღეთ აპარატზე თავდასხმის სახით.

ჩვენ შევიკრიბეთ, გვეთქვა: „ან თქვენ გვიდგენთ ჩვენ ბრალდებებს — მაშინ თქვენ უნდა ბოლომდის სერიოზულად დაასაბუთოთ ისინი, — ან მიგაქვთ ეს ბრალდებები უკანვე — მაშინ თქვენ ეს უნდა ჩაიდინოთ ისე, როგორც შეჰფერის გამბედავ პოლიტიკურ მებრძოლებს, რომლებმაც თავისი შეცდომა აღიარეს. მაშინ ის ზიანი, რომელიც მიადგა პარტიას, ოდნავად მაინც იქნება გამოსწორებული.“ ჩვენ გვქონდა, გვაქვს, შესაძლოა გვქონდეს მომავალშიაც უთანხმოება. პლენუმში, სადაც განხილული იყო 46 წევრის და ტროცკის განცხადება, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ:

„პლენუმი სავსებით იწონებს თავის გადაწყვეტილებას, პოლიტბიუროს მიერ მიღებულ კურსს შინაპარტიულ დემოკრატიაზე და პოლიტბიუროს წინადადებას ფუფუნებასთან და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამოწვეულ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ. პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებანი პოლიტბიუროს და სექტემბრის პლენუმის მიერ დანიშნულ კომისიების მუშაობის გასაძლიერებლად: ასეთ კომისიებად ითვლება: კომისია „მაკრატლის შესახებ“, კომისია ხელფასის შესახებ და კომისია პარტიულ მდგომარეობის შესახებ“ ამგვარად: იმავე პლენუმმა, რომელმაც განიხილა 46-ის განცხადება, მოიწონა პოლიტბიუროს მიერ მიღებული კურსი შინაპარტიულ დემოკრატიაზე და დაადასტურა 46-ის განცხადების შემოტანამდე დაარსებულ კომისიების მუშაობა.

ძერჟინსკიმ ნოემბრის ბოლო რიცხვებში წარადგინა თავისი რეზოლიუციები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენ საერთო რეზოლიუციას. ჩვენ გვინდოდა, რათა რეზოლიუცია ერთსულოვანი ყოფილიყო და ამას ჩვენ მივაღწიეთ; იგი მიღებულ იქნა ერთხმად მთელი ცეკას მიერ ამხ. ტროცკითურთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტროცკი ხელს არ მოაწერდა რეზოლიუციას მუშათა დემოკრატიის შესახებ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თავიდან ავიშორეთ დიდი საფრთხე, რადგან შევძელით გვეთქვა პარტიისათვის: „უნდა იბრუნო პირი“. ჩვენ ერთსულოვნად ამხ. ტროცკისთან ერთად გამოვიმუშავეთ ახალი კურსი. ეს მოხდა 5 დეკემბერს, ხოლო 6 დეკემბერს ამხ. ტროცკი არც კი შეეცადა მოლაპარაკებოდა ცეკას და უშუალოთ დაგზავნა რაიონებში წერილი, რომელშიაც ის კომენტარიებს უკეთებდა ცეკას მიერ მიღებულ რეზოლიუციას.

ეს წერილი არ არის სწორი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად. ტროცკიმ ბრძოლა გამოუცხადა ცეკას, თუმცა უკანასკნელი ყველა დათმობაზე წავიდა, ოღონდ მიღწეული ყოფილიყო ერთსულოვნობა. ჩვენ 5 დეკემბერს ტროცკისთან ერთად ხელი მოვაწერეთ შემდეგ ფორმულას: „რათა უზრუნველვყოთ მუშათა დემოკრატიის სინამდვილეში გატარება, საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, და წინადადება უნდა მივსცეთ დაბალ საფეხურის იაჩეიკებს წამოაყენონ პასუხსაგებ ადგილებზე მუშაკები, რომლებიც სინამდვილეში გაატარებენ შინაპარტიულ დემოკრატიას“. ამხ. ტროცკი კომისიაში შეეცადა წარმოედგინა უფრო მკვეთრი ფორმულა, მაგრამ ჩვენ არ დავეთანხმეთ მას; ამხ. ტროცკიმ ხელი მოაწერა ამ ფორმულას. მეორე დღეს ტროცკი თავის წერილში ამბობს: „პარტიული აპარატი უნდა დაემორჩილოთ მთელ პარტიას“.

ეს ლოზუნგი თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც შემცდარია, ვინაიდან ჩვენი აპარატი სავსებით ემორჩილება პარტიას და არა სხვა ვინმეს.

ტროცკის ფორმულიროვკამ საშუალება მისცა ოპოზიციას ეწარმოებია ისეთი პოლიტიკა, რომელიც ძალიან შორს სდგას იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც ცეკა ატარებს. მეორე: ტროცკიმ წამოაყენა საკითხი ძველი გვარდიისა და ახალგაზრდობის შესახებ ჩვენს პარტიაში — 400 000 ამხანაგია, რომელთაგან მხოლოდ 10.000 მოახდინა ჩვენი პირველი ორი რევოლიუცია. ტროცკი მორალურ, კულტურულ და პოლიტიკურ პრობლემაზე კი არ სწერს, არამედ იმაზე, არის თუ არა პოლიტიკური აზრი გამოთქმაში „ძველი გვარდია“, როდესაც ჩვენს წინ აუარებელი ძნელი ამოცანებია, როდესაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანები პარტიის წინაშე, რომლის სამ მეოთხედს არ უნახავს არც პირველი, არც მეორე რევოლიუცია.

აშკარაა, რომ საკითხი გადაჭრილი იქნება სწორათ. მაშინ, თუ ჩვენ გადავიყვანებთ იმ პოლიტიკურ და რევოლიუციონურ გამოცდილებას, რომელიც მოიპოვა პარტიამ ხანგრძლივ ბრძოლის განმავლობაში.

რატომ იგონებს ტროცკი თავის წერილში „ახალი კურსის“ შესახებ მუშათა კლასის ცნობილ მოღალატეებს, კაუცკის და ბერნშტეინს და რატომ მოგვაგონებს იმას, რომ ისინი მარქსის უშუალო მოწაფეები არიან? იმიტომ, რომ ტროცკის ერთი უნდოდა ეთქვა, რომ ახალგაზრდობა — ბარომეტრია, რომ ლენინის უახლოესი მოწაფეები... [illegible] „ოპორტუნისტების“ დამხმ. ჩვენ ვეუბნებით: „ცეკას [illegible] პოლიტიკას აწარმოებს ტროცკის მიმართ“. ჩვენ ვუპასუხებთ პრეობრაჟენსკის და ოსინსკის: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლიტბიუროს უმრავლესობამ სწორი რეზოლიუცია მიიღო, თქვენ კი ფიქრობთ, რომ ამხ. ტროცკის წერილია სწორი. თუ პარტია იტყვის, რომ ტროცკი მართალია, მაშინ ჩვენ ვიტყვით: „თუ პარტია ფიქრობს, რომ თქვენ მართალი ხართ, მაშინ ვიმუშაოთ თქვენი წერილის საფუძველზე“, მაგრამ თუ პარტია იტყვის, რომ მართალია ცეკა, ამხ. ტროცკი, ვიმუშაოთ ცეკას ხაზის საფუძველზე“.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფრაქციების და ჯგუფების. ცეკას რეზოლიუციაში ჩვენ მოვიყვანეთ 10-ე ყრილობის დადგენილება ჯგუფების დაარსების თავისუფლების აკრძალვის შესახებ. პრეობრაჟენსკიმ განაცხადა, რომ თუ არ იქნება ჯგუფების დაარსების თავისუფლება, მაშინ სიტყვები დემოკრატიის შესახებ არაფერი არ ეღირება. ტროცკი ჯგუფების შესახებ არაფერს არ ამბობს, რადგან მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამოსთქვას ამის შესახებ თავისი აზრი. ყველა ამბობს, რომ რეზოლიუცია მუშათა დემოკრატიის შესახებ სწორია. ამავე დროს ზოგიერთები განაგრძობენ ბრძოლას.

მაშ რისთვის იბრძვიან ისინი? თუ არ გჯერა, რომ ცხოვრებაში გაატარებენ, მაშინ სთქვი: „საჭიროა ცენტრალური ხელმძღვანელობის გადაყენება“, მაგრამ ამბობენ ისე, რომ რეზოლიუცია კარგია, არც ხალხის გადაცვლაა საჭირო. — აი, რატომ ვებრძვით ჩვენ ყოველგვარ ჯგუფებს და მათ, რომლებიც აქეთებს ხელს უწყობენ. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ოპოზიციას განაცხადოს მან: „ჩვენ ვეთანხმებით ტროცკის“. მაშინ ეს იქნება ნათელი და გარკვეული ხაზი. რატომ ეს არ სურთ მათ. მიტომ, რომ ისინი არიან უპრინციპონი, ხოლო — რაც ყოველგვარ ფრაქციაზე უარესია — უპრინციპო ოპოზიცია. მათ რომ პირდაპირ ეთქვათ: — რა სწამთ, მაშინ პარტია გაერკვეოდა ამაში, ხოლო, როდესაც ეს ფრაქცია იკვებება მხოლოდ ჭორებით, მაშინ პარტია კი არ სწავლობს, არამედ სნეულდება ამ ბრძოლით.

როდესაც ცეკამ გამოუშვა ეკონომიური პლატფორმა, ამით მან დასვა საკითხი, თუ როგორ განახორციელებს პარტია შინაპარტიულ დემოკრატიას [illegible] ჩვენ გვაქვს მუშების და გლეხობის კავშირი, რომელიც უნდა იყოს მიმართული ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს კავშირი საჭიროა იმიტომ, რომ დაძლეულ იქნეს ახალი ბურჟუაზია. ჩვენ უნდა დავიპყროთ გლეხი. გლეხობის დაპყრობის პრობლემა გაბოროტებული კაპიტალის განდევნის მიზნით — არის ძირითადი ამოცანა. მრეწველობის დარგში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ: გავაორკეცეთ ნახშირის წარმოება, გავადიდეთ 25 პროცენტით ნავთის ამოღება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტია გამოვა ამ კრიზისიდან უფრო შეკავშირებული და უფრო გაწვრთნილი. (გაურკვეველია)..

ამხ. პრეობრაჟენსკის სიტყვა.

თანამომხსენებელი ამხ. პრეობრაჟენსკი, უპასუხებს რა ამხ. კამენევს, ამბობს: „ცეკას პოლიტიკა ხელს უშლიდა ამ პროგრესს.. (დამახინჯებულია).. ჩვენ არ ვთვლით ცეკას ბრძანების კრებათ. ჩვენ თქვენთან ერთად ვსწავლობთ შეცდომებით.

შესაძლებელია შეცდომები შემდეგშიაც, მაგრამ ჩვენ არ დაუშვებთ რომ ეს შეცდომები დაგროვდენ. (დასასრული არ არის მიღებული).

ცეკას ხაზი მოწონებულია.

მოსკოვი. 14 იანვარი. მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციამ ამხ. ზელენსკის მოხსენების გამო 308 ხმით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მოსკოვის კომიტეტის მუშაობას; ოპოზიციის რეზოლიუციამ, რომელიც წარმოადგინა რაფაილმა, მიიღო 48 ხმა; თავი შეიკავა 6. კონფერენციამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენციის დახურვა.

მოსკოვი 14 იანვარი. საგუბერნიო პარტკონფერენციის საღამოს სხდომაზე 11 იანვარს მოისმინეს ამხ. ფ[illegible]ლერის მოხსენება მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, ამხ. ივანოვის მოხსენება მოსკოვის საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ, ამხ. გიბმერის მოხსენება — სამანდატო კომისიის შესახებ. მოსკოვის კომიტეტში არჩეულია 75 წევრი და 31 კანდიდატი, რაიონების წარმომადგენლების მიერ შედგენილ და დელეგაციებთან შეთანხმებულ სიის მიხედვით. კონფერენცია დამთავრდა ამხ. ზელენსკის მოკლე და ენერგიულ სიტყვით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

პარტიული კლუბის გახსნა

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს პარტიის ყველა წევრებს, რომ საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ცენტრალური პარტიული კლუბი უკვე გაიხსნა.

კლუბში იმართება საინსტრუქციო და სადისკუსიო მოხსენებები, კონცერტები-მიტინგები.

განზრახულია „ახალი ცხოვრების“ საღამოების გამართვა კომუნისტებისა და მათი ოჯახებისათვის.

კლუბში გაიხსნება შემდეგი წრეები: მარქსისტული, ფილოსოფიური, პარტიის ისტორიის, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ანტისარწმუნოებრივი და აგრეთვე სამხატვრო სექცია.

კლუბთან არის წიგნთსაცავი და სამკითხველო დარბაზი, მოწყობილი ბუფეტი, არის შახმატი, ბილიარდი და ნარდი.

კლუბი მოთავსებულია კირკის ქუჩაზე—მთლიანი მუშათა კოოპერატივის შენობაში.

კლუბი ღიაა ყოველდღე, პარასკევს გარდა, საღამოს 6-დან ღამის 12 საათამდე.

პარტიის წევრებს თავისუფლად შეუძლიათ შესვლა პარტიულ ბილეთების წარდგენის შემდეგ.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ესხენი.

უმაღლეს სასწავლებელთა ცხოვრებიდან

ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რეზოლუცია.

ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტების და მუშათა ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტთა საერთო კრება, მოისმინა რა მან საინჟინრო ფაკულტეტების დეკანის პროფ. ესხენის მოხსენება სასწავლო გეგმის და სწავლების საქმის საერთო დაყენების შესახებ, ერთსულოვნად ესალმება უმაღლეს სკოლის ცხოვრებაში „ახალ გზების" გამონახვას.

მაგრამ იმისათვის, რათა ახალ უმაღლეს სკოლის აღმშენებლობაში ყველა დაწყებანი, რომლებიც მოითხოვენ სათანადო ძალღონის დახარჯვას, არ დარჩენ უშედეგოდ საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტობა მიმართავს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამგეობას და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მტკიცე და დაბეჯითებითი თხოვნით ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტონ საკითხი ტფილისში პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის არსებობის შესახებ.

თუ უმაღლესი ტექნიკური სკოლა საჭიროა აქ, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპ. ფედერაციის ცენტრში, როგორც საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ მომავალ სპეცების სამჭედლოსი, ამ სკოლისათვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ნორმალური საკლასო პირობები.

ამავე დროს ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დღევანდელი მდგომარეობა არის მხოლოდ სახელმწიფო საშუალებათა და როგორც სტუდენტობის, ისე პროფესორის ენერგიის უმიზნოდ ხარჯვა.

და თუ არ იქნა მიღებული ზომები ინსტიტუტისათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად, მისთვის საჭირო ბინის მიცემის, სამეცნიერო ძალების მიზიდვის, ლაბორატორიების და სახელოსნოების მოწყობის, სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის და სხვა სახის დახმარების აღმოჩენის მხრივ,—საინჟინრო ფაკულტეტი დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს.

თავის მხრივ, სტუდენტობა ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ის მტკიცედ დგას ჩვენი სკოლის აღმშენებლობის იმ ხაზის უცვლელად და საფუძვლიან პოზიციაზე, რომელსაც ხელმძღვანელობენ ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტების პირველი წითელი რექტორი და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

მოუწოდებს რა ყველა შეგნებულ სტუდენტს მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომოს უმაღლეს სასწავლებლებში რევოლუციონურ ხაზის განმტკიცებას თავისი მონაწილეობით ინსტიტუტის ორგანოებში, საერთო კრება ამასთანავე მიმართავს საპროფესორო და სამასწავლებლო პერსონალს მოწოდებით ერთსულოვნად იმუშაოს იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ წითელ ინჟინერ-საზოგადოებრივ მოღვაწეების, კომუნისტურ მომავალის გამომჭედ ახალ კადრების შექმნისაკენ.

მიღებულია ერთხმად საზოგადო კრების მიერ.

სტუდენტობა ახალ გზაზე

ისტორიული დღე იყო ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ცხოვრებაში 1924 წ. 8 იანვარი, როდესაც პირველად საინჟინრო ფაკულტეტების და მუშათა ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის მრავალრიცხოვანი კრება, 4 საათის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით ისმენდა და ესალმებოდა პირველ წითელ რექტორის, დეკანის და საინჟინრო ფაკულტეტების სტუდენტთა საბჭოს სახელით თავმჯდომარის, წითელი პროფესორის ამხ. ა. ესხენის ვრცელ მოხსენებას. მოხსენების თემა იყო—ახალი სასწავლო გეგმა, სწავლების საქმის საერთო დაყენება, „ახალი გზები", ტექნიკის ჩაქუჩით და მარქსიზმის ჩირაღდანით შეიარაღებულ ინჟინერ—საზოგადო მოღვაწეების მნიშვნელობა და ამასთან ერთად ფაკულტეტის და ხელოსნობის არჩევა. მრავალი შეკითხვები ამტკიცებს მასების დიდ ინტერესს სკოლის და კერძოთ უმაღლეს ტექნიკურ სკოლის საკითხების და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მწვავე საკითხებისადმი:

„პოლიტეხნიკუმი იძლევა წითელ სპეცს, მრეწველს და სამეურნეო მოღვაწეს, რომელიც თავის ცოდნას გამოიყენებს კომუნიზმისთვის ბრძოლაში".

ამ მოკლე შენიშვნაში საჭიროა აღინიშნოს თუნდაც მთავარი მოვლენები ტფილისის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა მასების სულიერ განწყობილებაში მომხდარ გარდატეხისა.

მთელი რიგი ამხ. ნაგებისა სხვადასხვაგვარ დასაბუთებით მიუდგა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების შესწავლის მეთოდებს მათი პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით და ხაზი გაუსვა მთელ იმ მნიშვნელობას, რომელსაც აქვს თეორეტიულ საგნების, მათემატიკის და სხვა მეცნიერებათა დაქვემდებარებას,—ტექნიკურ საგნებისადმი, მათი შეთვისების, შეცნობის და შესწავლის პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ძირითადი ფაკულტეტები შეუთანხმდეს მუშათა ფაკულტეტებს და შეიქმნას ერთიანი განუყრელი ჯაჭვი...

საჭიროა, რათა მუშათა ფაკულტეტის მსმენელი, ძირითად ფაკულტეტზე, განსაკუთრებით საინჟინრო ფაკულტეტზე გადასვლის შემდეგ არ გრძნობდეს თავს მოუმზადებლად. მთელი სასწავლო გეგმა და სწავლების თვით მეთოდები უნდა შეეფარდეს მუშათა ფაკულტეტს, რომლის მიზანია უმაღლესი სკოლის საბოლოოდ დაპყრობა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება მომავალ ინჟინერის მუშურად აღზრდა. ის, სწავლების პროცესში ისეთ პირობებში უნდა იქნას ჩაყენებული, როდესაც ყოველდღიურ სამეცნიერო მეცადინეობის დროს დაკავშირებული იქნება წარმოებასთან და საწარმოო, ფაბრიკა-ქარხნის ყოფა-ცხოვრებასთან. წინაამდეგ შემთხვევაში ის აღმოჩნდება უცხო მუშათა ოჯახში, როცა ის სპეც-ინჟინერი გახდება.

არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, რომელიც კრებაზე სუფევდა მოწმობს იმას, რომ სტუდენტობა და მუშათა ფაკულტეტის მსმენელები გამსჭვალულია სიმპატიებით უმაღლეს სკოლის ახალ ცხოვრებისადმი და წითელ პროფესურასთან მჭიდრო კავშირისადმი. აღნიშნავს რა რევოლუციაში ტექნიკურ სკოლის გამწვავებულ მდგომარეობას ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ცხოვრების დღევანდელ პირობებში, კრება მიმართავს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და ინსტიტუტის გამგეობას დაბეჯითებითი თხოვნით უზრუნველჰყონ ინსტიტუტი საჭირო სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ძალებით, სახელოსნოებით, ლაბორატორიებით და უპირველეს ყოვლისა შენობით.

წინაამდეგ შემთხვევაში საინჟინრო ფაკულტეტები მოისპობიან და საჭიროა მათი დახურვა ან ეხლავე მისთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა.

ზედმეტია ლაპარაკი ტფილისის პოლიტეხნიკუმის მნიშვნელობაზე საბჭოთა საქართველოსა და ამიერ კავკასიის საბჭ. რესპ. ფედერაციისათვის.

მოუწოდებს რა სტუდენტობის მთელ მასას აქტიურ მუშაობისაკენ, სტუდენტობა ასეთივე მოწოდებით მიმართავს სამასწავლებლო პერსონალს, მიაჩნია რა მას სწორად ის გზა, რომელსაც პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ დღევანდელი გამგეობა და დეკანი წითელი პროფესორი ამხ. ა. ესხენი.

სტუდენტობა დგება ახალ გზაზე. მხურვალეთ მივესალმებით რა ამ გარდატეხას, გამოვსთქვამ იმედს, რომ ასევე მხურვალეთ გამოეხმაურებიან უმაღლეს სკოლას და კერძოთ ამხ. ლენინის სახ. ტფილისის პოლიტეხნიკუმს საბჭოთა რიგების უმაღლესი პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოები.

შ. ვულფსონი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.
(16 იანვარი)

ჩერვონეცი	810,000
ბრიტ. სტერლინგ. იუნქტ.	769,500
ჩეკები	761.500
დოლარი იუნქ.	181.000
ჩეკები	172.000
ტფ. ლირა	109.000
იტალიური ლირა	7600
ფრანგული ფრანკი	8600
საბჭ. ფულის ნიშნები	14-ნახ.

სურსათის ფასები.
(16 იანვარი)

პური 1 ხარ.—8500 ათ., პური 2 ხარ—8000. ათ. ძროხის ხორცი—12000 ათ. ღორის ხორცი 14,000 ათ. შაქარი რაფინადი — 41,250 ათ. ფხვნილი შაქარი—23,750 ათასი, ბრინჯი აღდ. 6000 ათ. კარტოფილი—750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(16 იანვარი).

პური 1 ხარ.—5000 ათ., პური 2 ხარ.—4000 ათასი, ძროხის ხორცი 14000 ათ. ღორის ხორ. 16000 ათ. შაქ. რაფ. 43000 ათ., შაქარი ფხვნილი 24,500 ათ. ბრინჯი აღდ.—7000 ათ., კარტოფილი 1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

მზესუმზირას ზეთი (5.000 ფ), „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „ურალმეტ"-ის პროდუქცია, ლვედების (აქლემის ტყავის), ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რჩილი), შევიცრული ყველი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ბორჯომის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიკური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საბჭოს და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ალიფას ზეთი და სხვა), ცემენტი და ეტერნიტი, სალამასი, ქვა მარილი ნახიჩ., საარაყო ჭურჭელი, მატყლი

ბირჟის მოთხოვნილება

რკინის გასაყრელები, რელსები, ფოლადი (ფურცლოვანი), რკინეულობა, თუჯის მილები, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტექნიკური ცხიმი, ხორბალი და სხვ პურეული, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, შაქარი რაფ და ფხვნილი, სალამასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკონდიტერო ფქვილი, საშენებლი ლურსმნები, ჩაი, ასანთი რუს., ქვამარილი ნახიჩევანის

ოფიციალური ფასები

კაუსტიური სოდა რუს 5 მ. 80 კ. ფუთში, ფრანკო გიმყიდველის საწყობი

გოგირდის სიმჟავე—1 მ 80 კ. ფ. ფრანკო ვლადიკავკაზ—ცისტერნა.

პორტლანდის ცემენტი—9 მ 45 კ. ბოჭკაში, ფრანკო ვაგონი ბათომი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ვალუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების კურსმა მკვეთრად აიწია; უცხო ვალუტაც განაგრძობს მომატებას.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება
(16 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	810.000	60 კ.	48 600.000
2 „	1.620.000	70 „	56.700.000
3 „	2.430.000	80 „	64.800.000
4 „	3.240.000	90 „	72.900.000
5 „	4 050 000	1 მ.	81 000.000
6 „	4.860.000	2 „	162.000.000
7 „	5 670 000	3 „	243.000.000
8 „	6 480.000	4 „	324 000.000
9 „	7.290 000	5 „	405 000.000
10 „	8.100.000	6 „	486.000.000
20 „	16 200.000	7 „	567.000.000
30 „	24 300.000	8 „	648.000.000
40 „	32 400.000	9 „	729.000.000
50 „	40 500.000	1 ჩერ	810.000.000

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სამმართველოში

თამბაქოს საწყობის № 2 ლიკვიდაცია.

თამბაქოს საწყობი № 2 სოხუმში გაუქმებულ იქნება; თამბაქო, რომელიც ინახება ამ საწყობში, გადაეცემა საქართველოს თამბაქოს ტრესტს.

ახალ-ათონის და გაგრის თამბაქოს საწყობების ლიკვიდაცია.

ამ ჟამად ხდება სასწრაფო ლიკვიდაცია ახალ ათონის და გაგრის თამბაქოს საწყობებისა.

თამბაქოს შესყიდვა.

ა. კ. სავაჭრო სამმართველომ დაადგინა შეისყიდოს ძველი თამბაქო 1 ხარ. 3000 ფუთამდე და აგრეთვე რაოდენობა 2 ხარისხის ნაყიდ თამბაქოში დაშვებული იქნება ჩაირიცხოს დაბალი ხარისხის თამბაქოც არა უმეტეს 20 პროც.

თამბაქოს ექსპორტი.

ა. კ. სავაჭრო სამმართველოს ბერლინის წარმომადგენლობისთვის იგზავნება ჰამბურგში თამბაქო 1 ხარისხის—500 ფუთი, 2 ხარ.—500 ფ მე-3 ხარ. 2000 ფ და მე-4 ხარისხის 2000 ფუთი.

ბაქოს ბაზრობის დებულების პროექტი

ბაქოს მეორე ბაზრობის შემდეგ აღიძრა საკითხი ისეთი მუდმივი ორგანოს შექმნისა, რომელიც პერიოდულად გამართავს ბაზრობას და განაგებს ამ რთულ საქმეს. დეპუტატები, რომლებიც შეკრებილი იყო პირველ და მეორე ბაზრობაზე, სწორედ გამოწვეული იყო ბაზრობის მოუწესრიგებლობით ამიტომ ა. კ. უმაღ. ეკონომიური საბჭოს დავალებით შემუშავებულია პროექტი ამ მუდმივ დაწესებულების—„ბაქოს ბაზრობის" დებულებისა.

ამ დებულების ძალით „ბაქოს ბაზრობა" არის საკავშირო სახელმწიფოებრივი ხასიათის ვაჭრობა, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს აღმოსავლეთ ქვეყნებთან მტკიცე სავაჭრო ურთიერთობის დამყარება. ამ ვაჭრობას აწარმოებენ სახელმწიფო დაწესებულებები, კოოპერატიული, საზოგადო და კერძო ორგანიზაციები და პირნი, აგრეთვე უცხოეთის წარმოებები ან მათი წარმომადგენლები და უცხოელი ვაჭრები.

ბაქოს ბაზრობა, დებულების თანახმად, იხსნება 20 მაისს და თავდება 5 ივლისს. ბაზრობის ზოგადი ხელმძღვანელობა ეკუთვნის ამიერ-კავკ. შინა-ვაჭრობის კომისიას, ხოლო ბაზრობის დროს ადმინისტრატიული მხრით ბაზრობას განაგებს ბაქოს საბჭო. ბაზრობის უშუალო გამგებლობა ეკუთვნის ბაზრობის კომიტეტს, რომელშიც შედიან, გარდა თავმჯდომარისა და მის მოადგილის, 13 წევრი ამ.-კავკასიის სხვადასხვა დაწესებულებებიდან და 3 კერძო ვაჭრების წარმომადგენელი. კომიტეტის ამოცანებს წარმოადგენს: საბაზრო ტერიტორიის შესაფერი მოწყობა, ბაზრობისათვის შენობების აგება, ყოველივე ზომების მიღება ბაზრობის წესიერი მსვლელობისათვის, სავაჭრო გარიგებების და ხელშეკრულებების დადება, დაწესებულებებთან და სხვებთან მიწერ-მოწერა, ფინანსიური ზომების მიღება (მაგ. ბაზრობის ტერიტორიაზე ბირჟის განყოფილების გახსნა, საჭირო კრედიტის მოპოვება ბანკების საშუალებით და სხვ.)

კომიტეტს უფლება ეძლევა, საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად, დაადოს ყოველ საქონელზე, რომელიც შემოტანილი იქნება ბაზრობაზე, გადასახადი—საქონლის საბაზრო ფასების 0 5 პროცენტამდე.

ყოველგვარი მოგება ბაზრობიდან (შენობების გაცემის იჯარა, რესტორანების და სხვ.) გადადის სავსებით კომიტეტის განკარგულებაში—ბაზრობის საორგანიზაციო საჭიროებებისათვის.

საქართველოს მრეწველობა 1923 წელში

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და საქართველოს ს. მ. ე. საბჭოს ცნობებით, რომლებიც შეკრებილია 1923 წ. სამრეწველო აღწერის დროს, რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და საქალაქო ტიპის დაბებში ირიცხებოდა (რკინის გზის და დეპოს სახელოსნოების გამო ვლებით) სულ 529 სამრეწველო დაწესებულება, ფაბრიკის ან ქარხნის ტიპისა, სადაც მუშაობდა (5 მაისს—აღწერის დღის) 8035 მუშა. ამ წარმოებათა შორის ს. მ. ე. საბჭოს განკარგულებაში იყო 75 წარმოება—3,582 მუშით. ამ რიგად ს. მ. ე. საბჭოს ეკუთვნის 14 პროც. ყველა სამრეწველო დაწესებულების, რომლებშიაც მუშაობენ 44,5 პროც. სამრეწველო მუშათა საერთო რიცხვის. მოყვანილი ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ ს. მ. ე. ს ხელში შეგროვილია, უფრო მსხვილი წარმოებები; პროდუქციის ღირებულების მიხედვით კი ს. მ. ე. ს. წარმოებებს გაცილებით მეტი ადგილი უჭირავს; შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის ორი მესამედი ეკუთვნის ს. მ. ე. ს. წარმოებებს. ამიტომ საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა სრულიად იქნება დახასიათებული ს. მ. ე. ს. წარმოების მოქმედების მიმოხილვით. წარსული წლის 1 ოქტომბერს ს. მ. ე. ს. განკარგულებაში ირიცხებოდა სულ 98 წარმოება; აქედან 28 წარმოება სრულებით არ მუშაობდა, და 10 იჯარით იყო გაცემული.

ფაქტიურად მომქმედი წარმოებების რიცხვი უდრის 67, რომლებშიც მუშაობდა 4,681 მუშა-მოსამსახურე. ამ წარმოებების სიდიდე მუშათა რაოდენობის მიხედვით ჩანს შემდეგ ცხრილიდან:

	წარმ. რაოდენობა	პროც.	მუშათა რიცხვი	პროც.
10 მუშამდე	8	17,2	52	1,5
11—50-დე	19	40,2	481	13,6
51—100-დე	7	14.9	519	14,7
100-ზე მეტი	15	27,7	2480	70,2

ამრიგად, ყველა წარმოებების რაოდენობის 40 პროცენტს ჰყავს 10-ზე მეტი მუშა და 27 პროცენტს—ასზე მეტი. იმ წარმოებებში, რომელთაც 100-ზე მეტი მუშა ჰყავთ, მუშაობს საერთო მუშათა რიცხვის—70 პროცენტი. 1923 წლის განმავლობაში ხდებოდა წარმოებების კონცენტრაცია, რამაც შეიტანა ცვლილება როგორც წარმოებების რიცხვში, ისე მუშების შემადგენლობაში: 1923 წლის 1 იანვარში ირიცხებოდა 67 წარმოება 4134 მუშით, ხოლო 1 ოქტომბერს—59 წარმ.—3 608 მუშით. მაშასადამე, წლის განმავლობაში მომქმედი წარმოებების რაოდენობა შემცირდა 8 წარმოებით (12 პროც.), ხოლო მუშათა რიცხვი 528 მუშით (13 პროც.) ასეთია საერთო სურათი. მაგრამ თუ განვიხილავთ სამრეწველო წარმოებებს ჯგუფების მიხედვით, მაშინ დავინახავთ, რომ უფრო შესამჩნევ ჯგუფებში მოხდა საგრძნობი ზრდა, რაც დასტურდება შემდეგი ცხრილით:

ერთ წარმოებაზე მოდიოდა მუშა.

ჯგუფები	იანვარი 1923 წ.	ოქტომბ. 1923 წ.	ზრდა (პროც.)
1. ლითონის მრეწ.	71	80	113
2. თამბაქოს	128	171	134
3. ტყავის	53	68	130
4 საფეიქრო	26	26	100
5. ფეხსაც. წარმ.	82	110	134
6. პოლიგრაფიული	68	83	122
7. საპ. და ზეთის	15	44	293
8 ავეჯიულ. წარმ.	23	74	322

ამ ცხრილიდან წარმოებების გაფართოების ტენდენცია ცხადად ჩანს; საშუალოდ, უმთავრეს დარგების წარმოებებში მუშათა რიცხვი გაიზარდა 25 პროცენტით. ყველაზე მეტი ზრდა ეტყობა საპნის და ხის დამმუშავებელ წარმოებებს. 1922 წელთან შედარებით, როცა თითო წარმოებაზე მოდიოდა 52 მუშა, წარსულ წელს გვყავს 70 მუშა. ეს ციფრები გვაჩვენებენ იმას, რომ ჩვენი ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა მიდის მსხვილ კონცენტრაციულ წარმოების განვითარების გზით და თანდათან თავისუფლდება ხელოსნურ ტიპის წარმოების ხასიათისგან;

ცალკე წარმოებათა და მუშათა რაოდენობის მიხედვით ს. მ. ე. ს. წარმოებები განიყოფებიან შემდეგათ:

წარმოებები:	რიცხვი	მუშათა რიცხვ.
1. ქვის, მიწის და თიხის დამუშავება	5	226
2. სამთო მრეწველობა	3	557
3 ლითონის „	5	597
4. ხის დამუშავება	18	221
5. ქიმიური მრეწველობა	1	41
6. სპირტის და ლუდის	5	52
7. თამბაქოს	5	859
8. სასურ. პროდ. წარმ.	1	7
9. საპნის და ზეთის	1	44
10. ტყავის	2	135
11. საფეიქრო	2	52
12. ტანსაცმელის	2	136
13. კოლოფის წარმოება	1	159
14. პოლიგრაფიული	1	499
15. ფიზიკურ ძალთა წარ.	2	25
სულ	59	3.608

აქედან ჩანს, რომ ყველაზე მეტი მუშა თამბაქოს წარმოებაში არის (24 პროც.), შემდეგ ლითონის (16,4 პროც.) სამთო (15,4 პროც.) და პოლიგრაფიულ წარმ. (14 პროც.)

(დასასრული იქნება)

ჩათახის აწმყო და მომავალი

კვირას საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ინჟ. გ. ქურდიანმა.

საქართველოში საკმაოდ არის რკინის მადანი, მაგრამ დღემდე არ ყოფილა სათბობი მასალა (ტყიბ. ქვანახშირი (დაბალი ხარისხისაა), რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მადანის დამუშავება ფართო მასშტაბით, დიდი მრეწველობის გაშლება. მაგრამ ევროპაში ელექტრო-მეტალურგიის განვითარებით ამ მხრით საქართველოს მდგომარეობაც იცვლება...

ამ ჟამად ჩათახში აღმოჩენილია ერთი ღუმელი, მეორეც ახლო ხანში ამუშავდება, მაგრამ ესენი გაკეთებულია ძ. სამოცი წლებში და ამ ჩამორჩენილი ტექნიკით ახლა შორს წასვლა შეუძლებელია.

თუჯის გადადნობა ხდება ხის ნახშირის საშუალებით. 1 ფუთი თუჯის გადადნობას სჭირდება 1 და ერთი მეოთხედი ფუთი ნახშირი.

ჩათახის რაიონში მდებარე ტყე, სივრცით 23 ათასი დესეტინა, მთავრობამ ქარხანას გადასცა. ტყე გაყოფილია 40 ნაწილად. ყოველ წელს უნდა მოიჭრას ერთი მეორმოცედი. ასე რომ, 40 წლის შემდეგ ტყე კვლავ გაშენებული იქნება.

ხის ნახშირის დაწვა სწარმოებს პრიმიტიულად: ერთი საჟენი შეშა მხოლოდ 35 ფუთ ნახშირს იძლევა.

მომხსენებელმა დაწვრილებით მოუთხრო აუდიტორიას ჩათახის წარსული, როგორ და როდის დაიწყო მის აღსადგენათ მუშაობა, როგორ მიმდინარეობს ახლა და სხ.

ჩათახის მადანი გამოუკვლევიათ თვით ჩათახის ლაბორატორიაში, გამოუკვლევიათ აგრეთვე გერმანიის, შვეციის და პუტილოვის ლაბორატორიებში. შედეგი დაახლოვებით ერთნაირია: მადანი კარგი ხარისხისაა.

ჩათახის თუჯი ხარისხით არ ჩამორჩება განთქმულ შვეციის თუჯს და სამხრეთის რუსეთისას.

მადნის მარაგს გეოლოგიური გამოკვლევა რამდენიმე ასი მილიონი ფუთობით განსაზღვრავს. ეს მარაგი ეკუთვნის მხოლოდ სარკინეთის მთას, რომლის მადანსაც ამუშავებს ამ ჟამად ჩათახი. არის კიდევ მეორე მთა—დემურ-დაღი, სადაც აგრეთვე დიდძალი მადანია.

ჩათახი დაუთვალიერებია გერმანელ სპეციალისტებს, (ცნობილ გეოლოგს გეტმანერს. მათი აზრით ჩათახს დიდი მომავალი აქვს. უცხოელებს აკვირვებს ის გარემოება, რომ ჩათახის ქარხანას მადანი ხელის გულზე აქვს—აქ საჭიროა გვირაბში შესვლა მხოლოდ რამდენიმე საჟენის მანძილზე, ჩვენში კი, მადანისათვის რამდენიმე ვერსით მივდივართ გვირაბში.

სად საღდება ჩათახის ნაწარმოები? უმთავრესად ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში, მაგრამ არის მოთხოვნილება რუსეთიდანაც: ცარიცინმა შეისყიდა 40 ათასი ფუთი თუჯი და ახლა „ელექტრო სტალი" (მოსკოვი) აწარმოებს მოლაპარაკებას ჩათახთან.

მუდმივი მუშათა ძალით ჩათახი უზრუნველყოფილი არ არის. უმთავრესად მუშაობს ადგილობრივი გლეხობა, რომლისთვისაც სამუშაოს სეზონის ხასიათი აქვს. გასულ წელს, ივლისში, ეს მუშები თავიანთ საოჯახო სამუშაოს დაუბრუნდნენ და ასე, სექტემბრის 10-დე ქარხანა დამდგარი იყო.

დღევანდელ მდგომარეობაში ჩათახს შეუძლია წლიურად 200 ათასი ფუთი თუჯის გაკეთება. ეს მაშინ, თუ ჩათახი ასე შინამრეწველურ (კუსტარულ) მდგომარეობაში დარჩება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპაში განვითარდა ელექტრო-მეტალურგია, ჩათახის ამ მდგომარეობაში დატოვება მიუტევებელია.

ელექტრონის ენერგიის სათბობ მასალად გამოყენებამ საქართველოში მსხვილი მრეწველობის აყვავებას ფართო გზა უნდა გაუხსნას

საქართველო საერთოდ მდიდარია ელექტრონის ძალით, მაგრამ ჩათახისათვის განსაკუთრებული სადგური საჭირო არ იქნება. მისთვის საკმარისი იქნება ის ენერგია, რომელიც ტფილისის დაკმაყოფილების შემდეგ ზემო-ავჭალის სადგურს გადარჩება.

მაშინ ჩათახის ნაწარმოები კონკურენციას გაუწევს რუსეთის, გინდ საზღვარ გარეთის ქარხნების ნაწარმოებთ.

მაგრამ ახლა შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა ხელისუფლებამ, თორემ ჩათახი ჩაკვდება.

ჩათახისათვის აქედანვე საჭიროა დახმარება, ვიდრე ზემო ავჭალის სადგური დამთავრდებოდეს.

შეკითხვების დროს, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ საქართველოში ამ ჟამად დიდი მოთხოვნილება ყოფილა წყლის გასაყვანი მილებზე ჩათახის ქარხანას კი შეუძლებია წლიურად 80 ვერსის სიგრძის სხვადასხვა ზომის მილის დამზადება.

მომხსენებელთან ერთად ინჟ. ნრიბა ჭ პინაძე და დასამიძე აღნიშნავენ, რომ მცხეთად შვეიცარიისა (იაფი სათბობი მასალის წყალობით, რომელიც ელექტრონის ენერგიის სახით მოგვეპოვება) სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან საქართველო მსხვილ სამრეწველო ქვეყნად გადაიქცევა. ყველაფერი ამისთვის არის: დიდძალი ელექტრონის ენერგია, მსოფლიოში განთქმული მარგანეცი (ფერომარგანეცის დამზადება), რკინისა და ფოლადის მადანის დიდი მარაგი და სხვა.

სამირკველი უკვე ჩაყრილია: ეს არის ჩათახი, ზემო-ავჭალა და ჭიათურა.

საჭიროა მხოლოდ შენობის დაწყება...

სასოფლო მეურნეობა

ჩვენი სახალხო მამულები და გლეხების მევენახეობა

საქართველოს რესპუბლიკას სახალხო მამულები შედარებით ბევრი აქვს, სადაც სხვადასხვა მეურნეობას აწარმოებენ: გვაქვს მევენახეობის და მეღვინეობის, ჩაის წარმოების, მეხილეობის და სხვ სახალხო მამულები.

მათ შორის აღსანიშნავია კახეთში „წინანდალი" „ნაფარეული", „მუკუზანი" ქართლში „მუხრეთი" „ქართლის მამული", იმერეთში „ვაჯევი", „ვარციხე", „ჩაქვა" და მრავალი სხვა.

ამას წინათ გამართულ, მამულების გამგეების თათბირზე ტფილისში სხვა მეტად საჭირო საკითხებთან დასმული იყო საკითხი—რა გზით შეუძლიათ ჩვენ სახალხო მამულებს დაეხმარონ გლეხების მეურნეობის გაუმჯობესებას.

თათბირი მით უფრო საყურადღებო იყო, რომ ყველა დამსწრენი და მათ შორის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ლ. ლორთქიფანიძე, ახლად დანიშნული მიწათმოქმედების კომისარის ამხანაგი პ. წულუკიძე და ცნობილი კოოპერატორები, ერთიანად მომხრე იყვნენ იმ აზრის, რომ სახალხო მამულებმა უნდა ითამაშონ დიდი როლი გლეხის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში.

კონკრეტიულად წამოყენებული იყო მევენახეობის, მეღვინეობის და ჩაის წარმოების საკითხები.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენ მევენახეს ბევრი რამე სჭირდება ვენახების დამუშავების და ღვინის დაყენების გასაუმჯობესებლად. აგრეთვე გურიის და ბათომის მიდამოების ჩაის წვრილი მწარმოებლები საჭიროებენ დახმარებას.

ჩვენი სახალხო მამულების ღვინის სარდაფები და მარნები სარდაფის მეურნეობით სავსებით არიან მოწყობილნი და სარდაფები ისეა აშენებული, რომ შიგ ღვინის შენახვა და მოვლა წარმოებს მეცნიერულ საფუძველზე; ამის გამო ღვინო მაღალი ხარისხის დგება, უფრო ძვირად იყიდება და ამ მხრივ მას ჩვენი გლეხის ღვინო ვერ შეედრება.

საჭიროა გლეხ-მევენახის ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად და თვით რესპუბლიკის შემოსავლის გასადიდებლად გაუმჯობესდეს გლეხის ღვინის ხარისხი; ამისათვის კი უნდა შევეცადოთ ღვინის დაყენებას და დამუშავება-მოვლას ევროპიულად.

ჩვეულებრივად დაყენებული და მოვლილი ღვინო არ მოსწონს ფართო ბაზარს; ჩვენი ღვინო ევრე რიგად ვერ იტანს გადაზიდვას; ეს აფერხებს ღვინის ვაჭრობას, და არ ფასდება შესაფერისად ჩვენი ღვინო გარეშე ბაზარზე.

ჩვენ ღვინოს თუ გარეშე ბაზარი არ გაეხსნა და უცხო სახელმწიფოებში ბევრი მომხმარებელი არ ეყოლა, ჩვენი მევენახეობა არ განვითარდება, რადგან შინაური ბაზარი არ კმარა და არც არის რესპუბლიკისათვის ხელსაყრელი.

ჩვენი ღვინის ბაზარი რუსეთია და მას რუსეთის ბაზარზე შეუძლია დაიკავოს პირველი ადგილი. საკავშირო რესპუბლიკათა შორის, საქართველოს ვენახების სივრცით და ღვინის რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს. სამწუხაროდ ჩვენი ღვინო რუსეთის ბაზარზე არ არის გავრცელებული და, მაგალითად, მოსკოვში საქართველოს ღვინოებზე უფრო ხშირად სხვა ქვეყნების ღვინოების სახელი ისმის და მეტად გავრცელებულია.

ჩვენში ყველას სწამს ეხლა ის აზრი, რომ საჭიროა ფართოთ შემოვიღოთ ევროპიულის წესით ღვინის დაყენება.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ევროპიულათ ღვინის დაყენებას დიდი ხარჯები უნდა; საჭიროა სარდაფები და მარნის მოწყობილობა, თვით ღვინის მოვლა-დამუშავება მოითხოვს ბევრ მასალას და ხელსაწყოს.

ევროპიულათ დაყენებული და დამუშავებული ღვინის ხარისხი უეჭველია და თქმა არ უნდა ფასი მეტი ექნება და ბაზარიც ფართე.

ჩვენი ხალხი და მათ შორის მევენახეები კონსერვატორები არ არიან და ისინი ახალს, რაც მათთვის სასარგებლო და ხელსაყრელია, სულ ადვილათ ითვისებენ და ეხრობიან.

ჩვენი სახალხო მამულები და მოსამსახურენი მზად არიან ხელი გაუწოდონ მევენახე გლეხებს და სარდაფების და მარნების მოწყობილება გამოიყენონ გლეხის ღვინის გასაუმჯობესებლათ. ეს სურს ჩვენს მთავრობას და ეს აზრი გამოსთქვა ყველამ ერთსულოვნათ თათბირზე.

გლეხობა დიდის ნდობით უყურებს მთავრობას და ჩვენ სახალხო მამულებს. გლეხები დიდის კმაყოფილებით მიიტანებენ ყურძენს სახალხო მამულებში გადასამუშავებლათ და კიდეც გადაიხდიან, რაც საჭირო იქნება

სამწუხაროდ, ჩვენი სახალხო მამულები ვერ გასწვდება გლეხობას: სახალხო მამულებში გადამუშავდება და შეინახება მხოლოდ რამოდენიმე ათეული ათასი ვედრო გლეხის ღვინო. დანარჩენი ალაგი და ჭურჭელი სახალხო მამულებში თვით მამულებში მოსულ ღვინოებს უნდება.

სახალხო მამულების სარდაფები იტევენ სულ 600—700 ათასამდის ვედრო ღვინოს.

ჩვენი გლეხობა კი აყენებს რამოდენიმე მილიონ (7-8) ვედრო ღვინოს.

რაც უნდა მოინდომოს მთავრობამ და გლეხობამ, ერთიანად მოკლე დროში ყოველგან შეუძლებელია, რომ გლეხის მეღვინეობა ევროპიული წესით მოეწყოს. ეს მოხდება თანდათანობით, დიდი მუშაობის და ხარჯების გაწევის შემდეგ.

სახალხო მამულები მხოლოდ დაიწყებენ ამ დიდათ სასარგებლო და სახელმწიფოებრივ საქმეს. ეს იქნება მაგალითი.

ჩვენი კოოპერატივები უნდა შეეცადონ თავის მხრით სარდაფების და მარნების გამართვას და აგრეთვე აშენებასაც დიდ საკითხ [illegible] ხელსაწყოს და მანქანა იარაღების და ჭურჭლის დამზადების და შეძენის საქმე.

ამ თავიდან რომ შევძლოთ გლეხის რამოდენიმე ათი ათასი ვედრო ღვინის ევროპიულად დაყენება და მოვლა, ესეც დიდი გამარჯვება იქნება და დიდ აღტაცებას და მონდომებას გამოიწვევს გლეხებში.

გლეხები თავის მხრით უნდა დაირაზმონ და არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს კოოპერატივის გარეშე ეს შეუწყობს ხელს ჩვენი გლეხის მეღვინეობის გაუმჯობესების საქმეს.

კოტე ბერიკაშვილი.

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი

ამიერ კავკასიის მუშათა კოოპერაციის დათვალიერების შედეგები
(მოხსენებიდან ამხ. პაჩკიანი)

დათვალიერებული იქნა შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციები: „ბაქოს კოოპ. კავშირი", „კასტპო", ტფილისის მუშკოოპი, „ზაკტპო" და ერევნის „ეპო".

დათვალიერების მიზანი იყო კოოპერაციის სოციალური ბუნების, მასასთან მისი კავშირის და მუშების ხასიათის გამოშკარავება.

ტფილისის მუშკოოპი.

1923 წლის პირველი იანვრისათვის მუშკოოპის წევრთა რიცხვი უდრიდა 5 365 კაცს, ხოლო საპაიო თანხა—4 325 მან ოქროთი.

წევრთა სოციალური შემადგენლობა ასეთია: 2 პროც. საბჭოთა მოსამსახურეა, 10 პროც. განათლების მუშაკი, 9 პროც. გემოკვების მუშაკი 8 პროც. საქიმიო-სასანიტ. დარგის მუშაკი, 8 პროც. მელითონეები და სხვა.

მუშკოოპის უმთავრესი მასა შესდგება მოსამსახურეთაგან იმის გამო, რომ ტფილისი უმთავრესად არის ადმინისტრატიული ცენტრი და არა სამრეწველო.

მუშკოოპი ეწეოდა კერძო ბაზარზე ბითუმად ვაჭრობას, რაც მუშკოოპის სავაჭრო მოქმედების ნახევარს შეადგენდა. ამჟამად უმთავრესი ყურადღება ექცევა წვრიმალ ვაჭრობას და ამ მიზნით იხსნება საწვრილმანო დუქნები მუშათა რაიონებში.

მუშკოოპის დანარჩენი ხარჯები საქონლის ღირებულების 19 პროცენტს უდრის, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ დიდია საიჯარო გადასახადი, აპარატი გაბერილია და სხვა. მუშკოოპს აქვს თავისი ფურნე, საკონდიტრო ქარხანა, პატარა ელექტრო-სადგური და სხვა. მუშკოოპის სავაჭრესო საწარმოო დაწესებულება, რომელიც რძით ვაჭრობას ეწევა.

მუშკოოპთან დაარსებულია საბანკო განყოფილება, სადაც მოძრაობენ კავშირების თავისუფალი თანხები.

ა. კ. ტრანს. მომუშავეთა საზოგადოება (ზაკტპო).

„ზაკტპო"-ს დათვალიერებამ გამოარკვია, რომ პირველ ხანებში საბუღალტრო მუშაობა მეტად ცუდათ სწარმოებდა. შემდეგში, 1923 წელს იგი გამოსწორებული იქნა.

კოოპერატივის წევრთა (რკინისგზელთა) რიცხვი 26.567 კაცს უდრის. „ზაკტპოს" აქვს სულ 50 განაწილებული დაწესებულება (36 მაღაზია და 14 ვაგონ-დუქანი).

ორგანიზაციის შტატი მეტად დიდია, საჭირო იყო მისი მიზანშეწონილი შემოკლება. 1923 წლიდან იწყება „ზაკტპოს" ორგანიზაციული გადახალისება. არჩეულ იქნა ახალი გამგეობა. საინსტრუქტორო აპარატმა წარმატებით ჩაატარა საპაიო კამპანია, სავაჭრო გასავალი გასასაღებელი საქონლის ღირებულებასთან შედარებით 19 პროცენტს უდრის

სავაჭრო გასავლის 53 პროცენტი აპარატის შენახვაზე იხარჯება, დიდია აგრეთვე ხარჯები საკანცელარიო საჭიროებაზე და მგზავრობაზე. სუსტია კავშირი სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რასაც სათანადო ყურადღება ექცევა, და ეს კავშირი თანდათანობით მოიწყობა.

ბაქოს კოოპერატივთა კავშირი.
(„ბაკსოიუზი")

1923 წლის 1 სექტემბრისათვის ბაქ. კოოპ. კავშირი აერთიანებდა 17 000 წევრს. სოციალური შემადგენლობის მხრივ 65 პროცენტს წარმოადგენენ სამთო-ნავთის მუშაკნი ე. ი. მუშათა მასსა 1923 წლის პირველ ნახევარში საქონლის მოსამარაგებელი მუშაობა სწარმოებდა თითქმის სულ აზერბეიჯანს გარეთ. საქონლის 68 პროცენტი მოდის მანუფაქტურაზე, რომელიც საკმაოდ ძვირია და არ საღდება. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო საქონელი ხანგრძლივად აწყვია საწყობებში. „ბაკსოიუზ"-ს აპარატიც გაბერილია. დანარიცხი ხარჯების საქონლის საერთო ბრუნვის 27 პროცენტს წარმოადგენენ. მიუხედავად თავისი დიდი ბრუნვისა ბაკსოიუზს მაინც ვერ დაუპყრია ბაზარი და მას [illegible].

ერევნის მოხმარებითი საზოგადოება „ეპო".

სომხეთის პატარა კოოპერატიული ორგანიზაცია თავის მოქმედებით სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. მან დაიწყო მოქმედება ისე, რომ ერთი წევრიც არ ჰყოლია, 23 წლის მარტში წევრთა რაოდენობა უკვე 60 კაცს უდრიდა. 8 თვის განმავლობაში ეს რიცხვი 1005 კაცამდე ავიდა. კოოპერატივის წევრთა 17 პროცენტს შეადგენენ პროფკავშირების წევრები.

„ეპო"-მ საბრუნავი თანხა მიიღო სესხად ბანკებიდან, სამეურნეო ორგანოებიდან და კერძო პირებიდანაც კი და ვალის თავის დროზე გადახდით კრედიტორთა, და ნდობა მოიპოვა. „ეპო" უმთავრესად წვრიმალ ვაჭრობას ეწევა, რადგან მეტი სალარა არა აქვს. დანარიცხი ხარჯები 8 პროცენტს უდრის (მშვიდობიანი დროის ნორმაა). „ეპოს" შტატი არ არის დიდი.

საბჭოთა სასამართლოში

მელიქოვის, ოზხერელის და მოსესოვის საქმე

ა. წ. 14 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში ამხ. იაშვილის თავმჯდომარეობით და დიდებულიძის ბრალდებით განხილულ იქნა აღნიშნულ პირთა საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ მელიქოვის ქალის ქმრის სტეფანე მელიქოვის მოწამვლის განზრახვა.

ბრალდებაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულებმა მელიქოვის ქალმა და ოზხერელმა გადასწყვიტეს სტ. მელიქოვის მოკვლა და მიმართეს დახმარებისათვის მოქ. მოსესოვის ქალს, რომელმაც მისცა მათ სულემის ხსნარი და განუმარტა, რომ საჭიროა 8 წვეთის ჩარევა სასმელში ან საჭმელში.

ბოროტმოქმედების განზრახვა არა ერთხელ ყოფილა მოყვანილი სისრულეში, მაგრამ ბრალდებულთაგან დამოუკიდებელ გარემოების გამო მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თვით საქმე სრულიად შემთხვევით გამოაშკარავდა.

ოზხერელის ნაცნობმა ჩაგანიძემ მოჰპარა მას მარიამ მელიქოვის წერილი, რომელშიაც იგი ატყობინებდა მას „საქმის" მდგომარეობას და იმის შესახებ, რომ საწამლავი არ მოქმედებდა.

ჩაგანიძემ გააფრთხილა მელიქოვი და ურჩია ფრთხილად ყოფილიყო. საჭმლის ჭამის დროს თვით სახლშიაც.

შემდეგ ჩაგანიძემ, რომელიც იყო მიცემული პასუხისგებაში ოზხერელის მიერ ვითომდა ლირების გატაცებისათვის, წარუდგინა ხელისუფლებას ბრალდებულების მამხილებელი წერილები.

ყველა ბრალდებულების ბრალდება სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა და მიუსაჯა მათ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით. მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მარიამ მელიქოვის გაუნათლებლობა, წვრილშვილიანობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ის იმყოფებოდა ოზხერელის გავლენის ქვეშ, სასამართლომ შესაძლებლად სცნო პირობითი სასჯელის მიცემა.

ოზხერელს, გაუნათლებლობის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ ის იძლევა გამოსწორების იმედს, სასჯელის ვადა შეუმცირდა 4 წლამდე.

მოსესოვას მიესაჯა 8 წლით დაპატიმრება.

ყველას ჩაეთვალა წინასწარი დაპატიმრება.

მუშათა ცხოვრება

ერთი დაუღალავი და ერთგული მუშაკი

ქალ. ტფილისის აღმასკომის მთავარი მოლარე, ნიკოლოოზ ისაის ძე დერძიბაშევი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში დაუღალავად, ენერგიულად და პირნათლად იწევს მასზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო მძიმე მოვალეობას. მიუხედავად მისი მუშაობის სიმძიმისა, და პირობებისა, ნიკოს ვერ ნახავთ აღელვებულს და გაჯავრებულს ვინმეზე ის მუდამ მოღიმარია, ხალისიანი და საქმის დაკვირვებით შემსრულებელი.

ეს პიროვნება ყველასთვის სამაგალითოა თავისი ფაქიზი, სათნო, უშფოთველი, სპეტაკი და უწყინარი ხასიათის თვისებებით. თითქო განგებ ამ კაცში დაგროვილია ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებებით, რომ სამაგალითოთ მოვლენილა ნერვიულ და მოღლილ ამ დაწესებულების თანამშრომელთა მუშაობაში.

და საყვარელი ნიკოს ოცდა ხუთი წლის დაუღალავი, ენერგიული და პატიოსანი შრომა დააფასეს მისმა ამხანაგებმა—ქალ. აღმასკომის მუშამოსამსახურეებმა, რომლებმაც გადაუხადეს მას 25 წლის იუბილე. წარმოითქვა ბევრი ხმურვალე სიტყვები იუბილიარის მიმართ. იუბილიარს მიართვეს ძვირფასი საჩუქრები და უსურვეს კიდევ 25 წელი ემსახუროს აღმასკომის კეთილდღეობისთვის ენერგიულად და ნაყოფიერად.

დამსწრე საზოგადოება ძლიერ აღტაცებული იყო; ყველას პირზე ღიმი მოსდიოდა, ყველა ხარობდა. წინადელ დროში თუ დღესასწაულობდნენ „დიდი-კაცები" ეხლა მუშა მოსამსახურეთა ბატონობის დროს ვდღესასწაულობთ ჩვენ. ამხ. ნიკოს დღესასწაული, ხეიმი მოწმობა მისი, რომ პატიოსანი მშრომელის შრომა დაფასდება, ამიტომ ვუსურვებთ იუბილიარს სიცოცხლეს და ენერგიას, რომ განაგრძოს მას თავისი საყვარელი საქმე და ქალ. აღმასკომს კი ვუსურვებთ თავის დროზე შეიფასებოდეს თავის პატიოსან მუშაკთა ღვაწლი.

მუშკორი ა. განიძე.

რას გავს ეს?!

„თუ სადმე ბედნიერები არიან მუშები ის მხოლოდ თუთუნის ქარხნის მუშები არიან, რადგან ამ უკანასკნელ დროს, ადგილკომის ხელმძღვანელობით თვითეულ მსურველ მუშას მიიღო 10 ბოთლი ლუდი, თითო სამ ნახევარ მილიონად. და იმედია, რომ ჩქარა ასეთ ქარხნაში ღვინო და არაყსაც გაჩენენ მუშებისათვის და ამითი ხელს შეუწყობენ მუშათა გამოფხიზლებას იმ დროს, როდესაც ყოველ დღე გაზეთებში იბეჭდება ლოთობის და საერთოდ ალკოჰოლის ხმარების საწინააღმდეგო წერილები"... ასე ირონიულად ახასიათებენ ადგილკომის მოქმედებას ჩვენი მუშები. ამის შემდეგ მგონია სრულიად უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს ცდა და საშუალებანი გამონახვა იმისათვის რომ, ნახევრად შიშველი მუშების და მათი ცოლშვილისათვის მანუფაქტურას ტ ფეხსაცმელებზე იზრუნონ და ამითი მაინც მცირედად შეუმსუბუქონ მათ გაჭირვებული ცხოვრება. მართალია, ყველა ასეთი საგნების ყიდვა და მუშებისთვის გაყიდვა ხდება მუშებისავე წინასწარი დაკითხვით, მაგრამ საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რად არ ჰფიქრობენ ჩვენი ადგილკომები იმაზე თუ რა საქონელს ჰყიდიან მუშებზე ტ რა სარგებლობას მოუტანს იგი მათ. თავის თავად ცხადია, რომ თუ ისინი ამაზე ფიქრობდნენ, იფიქრებდნენ იმასაც, რომ მუშებისათვის ლუდი კი არ არის საჭირო, არამედ ჩაი, შაქარი, ბრინჯი და სხვა ისეთი საგნები, რომელიც მათ გონებას არ მოსწამლავს და სარგებლობასაც მოუტანს. როგორც სჩანს, ისინი ამაზე კი არა ზრუნავენ, არამედ იმაზე, რომ რაც მოხვდებათ ხელში, იყიდონ და მუშებს მიყიდონ, მიუხედავად იმისა ეს სასარგებლოა, თუ მავნებელი მუშებისთვის. რა მოსაზრება ამოქმედებს მათ? ეს იმათივე საკუთარ საიდუმლოებას შეადგენს. მაშ, რაღა საჭიროა, ჩვენთვის გაზეთებში წერა საერთოდ ლოთობის და სპირტიულობის ხმარების წინააღმდეგ ჩვენ მოვითხოვთ ქარხნის მახლობელ სამიკიტნოების გაუქმებას და ამავე დროს ქარხანაში შეგვაქვს ის საწამლავი, რასაც ჭუჩაში ვკძალავთ მუშებს. საჭიროა, ამაზე დროზედ დაფიქრდნენ ადგილკომები და შემდეგში აღარ გაიმეორონ ასეთი დანაშაული.

გამვლელი მუშა.

რატომ დაიკეტა ნავთლუღის სადგურთან სამკითხველო?!

ნავთლუღის სადგურთან არსებობდა სამკითხველო, საიდანაც მუშამოსამსახურეები სარგებლობდნენ. ამ ჟამად ეს სამკითხველო აღარ არსებობს. ის უკვე დახურულია. ადგილობრივი მუშა მოსამსახურეები დარჩნენ უბიბლიოთეკოდ.

კარგი იქნებოდა სამკითხველო ისევ გაიხსნებოდეს ტ იმოდენა მუშამოსამსახურეებს არ დასტოვებდნენ იმ მინდორ-ალაგას ისე გამოუყოფებლად როგორც ის ეხლა არის. ის ვალი კისრათ ედებათ მოწინავე ამხანაგებს ხსენებულ სადგურისას. მათ უნდა ეცადონ ხ და აღადგინონ დახურული სამკითხველო.

მუშკორი შაქრო ნავთლუღელი

მეთამბაქო მუშების პროფესიონალური დაავადებანი.

თამბაქოს დამუშავების დროს ჩნდება თამბაქოს მტვერი, რომელიც სუნთქვის საშუალებით ფილტვებში ჩადის და აზიანებს ფილტვების ქსოვილებს, რითაც ხელსაყრელ ნიადაგს უმზადებს ჭლექს. ამ მხრივ, დახარჩენ მავნე მტვერის გამჩენ მასალებს შორის, თამბაქოს უპირველესი ადგილი უჭირავს.

თამბაქოს მტვერი ვარდება კუჭში და აქედან თამბაქოს შხამის (ნიკოტინის) სახით სისხლში ვრცელდება. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ გზით ნიკოტინი ორსულ ქალთა ნაყოფის ირგვლივ მდებარე სითხეში ძიდის და ხშირად მუცლის მოშლას (აბორტს) იწვევს. ამას გარდა, შემჩნეული იყო, რომ თამბაქოზე მომუშავე ქალების ძუძუს რძეს თამბაქოს სუნი სდის.

რა არის ნიკოტინი?

ნიკოტინი არის ზეთისებური სითხე თავბრუდამსხმელი სუნით. ერთი პურის მარცვლის სიმძიმის ოდენა ნიკოტინი კლავს კატას, კურდღელს და ძაღლს; წყლის ოცდათორმეტი წვეთის სიმძიმის ოდენა ნიკოტინი საკმარისია ადამიანის მოსაკლავად თამბაქოს გამხმარ ფოთოლში 2 დან 4 პროცენტამდე ნიკოტინი მოიპოვება. რამდენად მაღალია ხარისხით თამბაქო, იმდენად ნიკოტინი ნაკლებად არის მასში.

სასუნელილ თამბაქოს დამზადების დროს, თამბაქოს ფურცელი დულილის პროცესს განიცდის, რაც იწვევს შხამიან ორთქლს და ეს კი მიზეზი ხდება თვალების, ყელის და სხ დაავადებათა.

თამბაქოზე მომუშავეთ ხშირად სისხლნაკლულობა უვრცელდებათ; მოღუნულ მდგომარეობაში მუშაობა კი იწვევს მკერდის უჯრედის განვითარების შეჩერებას და მინჯის ორგანოებში სისხლის დადგომას.

ზოგ იშვიათ შემთხვევაში თამბაქოსგან მოწამვლა იწვევს ქრონიკულ კანკალს, დამბლას და დაბრმავებას. თამბაქოს გრეხის გამო, მუშებს ემჩნევათ თითების კანის დაავადება. თამბაქოს ქარხანაში მუშაობა იწვევს აგრეთვე ნერვების დასნეულებას, უძილობას, თავის ბრუალს, თავის ტკივილს, გულის ნევროზს და სხვა.

მუშების ჯანმრთელობის დასაცავად თამბაქოს ქარხნებში საჭიროა შემდეგი ზომების გატარება:

1) უნდა მოეწყოს ვენტილიატორი და მტვერისმშთანთქმელი—მტვერის კარში გასატანად; 2) მუშებმა რესპირატორები უნდა ატარონ თამბაქოს მტვერის სუნთქვის თავიდან ასაცილებლად. ორსულ მუშა ქალებმა უნდა დასტოვონ ქარხანა მშობიარობამდე ორი თვის წინ და უნდა გამოცხადდენ მშობიარობის ორი თვის შემდეგ. ორსულ ქალს საზოგადოდ სასტიკად ეკრძალებად თამბაქოს წევა. ვინაიდან ეს ბოროტება მეტად ცუდ გავლენას ახდენს მომავალ ნაყოფის ჯანმრთელობაზე. სადაც კი შესაძლებელია, ხელით სამუშაო მანქანით სამუშაოთი უნდა იქნეს შეცვლილი. მუშის საკვები ნოყიერი უნდა იქნეს.

საქართველოს ჯანსახკომისარიატის სან. განათლების მუზეუმიდან.

მუშათა წერილებიდან

მეოთხე სტამბის ცხოვრებიდან.

ვინ არ იცის, რა მძიმე და თითქმის აუტანელია ასოთ-აწყობა. ჯერ ერთი, რომ ასოთ-ამწყობი უხდება ფრიად ანტი-ჰიგიენურ და თითქმის ჯანმრთელობის გამანადგურებელ პირობებში მუშაობა. სტამბის ჰაერი მოწამლულია ტყვის მტვერით, რომელიც შხამავს ჩვენს ფილტვებს და გვრხობს მიდეველობას და სხვა ამას მიუმატეთ კიდევ გაურკვეველი ხელით პირდაპირ „დაულამბრულ" დიდების გარჩევა და თქვენ წარმოიდგენთ, თუ რა მძიმეა ასოთ აწყობთა მუშაობა.

განსაკუთრებით, ჩვენი სტამბა ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. ჩვენ სტამბაში გვიგზავნიან დასაბეჭდათ ქართულ ხელთნაწერებს იმ სახით, რომ მათი აწყობა თითქმის შეუძლებელი ხდება. ზოგიერთ ხელთნაწერებში ვერ ვარჩევთ არამც თუ ასოებს და სიტყვებს, არამედ მთელ წინადადებებსაც და ამიტომ აწყობის შემდეგაც სამ-ოთხჯერ გვიხდება გადაწყობა და შესწორება. ეს გარემოება დიდ დროს გვართმევს და წარმოებასაც საგრძნობლად აფერხებს.

საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ეს ჯერ არს, და არავითარ შემთხვევაში არ იქნეს სტამბაში გამოგზავნილი იმისთანა ხელთნაწერები, რომელთა გარჩევა თითქმის შეუძლებელი ხდება ასოთ-აწყობთათვის.

სტამბის მუშა დონ-დანი.

წყლის ანგარიშები უნდა იყოს დამზადებული უცხველთვის დასაჭუხი.

(წყალსადენის საყურადღებოდ).

არ ვიცით, რა მიზეზითაა ეს გამოწვეული, მაგრამ ფაქტია, რომ ქალაქის წყალადენი თავის დროზე არ ადგენს წყლის გადასახადის ანგარიშებს; წყლის ანგარიშები დგება ძალიან დაგვიანებით; იგზავნება დაგვიანებით მომხმარებლებზე ეს გარემოება ძალიან საზარალოა მუშა-მოსამსახურეთათვის მათ წყლის ფულის გადახდა უხდებათ იმ დროს, როდესაც მათ უკვე ფული აღარ აქვთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი მათ ან წყალს უკეტავენ, ან და აჯარიმებენ ხოლმე ეს მოვლენა ყოვლად დაუშვებელია. წყლის ანგარიშები უნდა დაეგზავნოთ მუშა-მოსამსახურეთ ჯამაგირების გაცემის დროს ყოველ თვის 18 და სამ რიცხვებში დაუგვიანებლად საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და იქნეს სათანადო ზომები მის მოსაწესრიგებლად მიღებული.

ადგილობრივი მუშა—კიდო.

მეფუტკრეობა რაჭაში

მდიდარია რაჭის ბუნება ცაცხვნარ და ფიჭვნარ ტყეებით და საამურ ყვავილიან მინდორ-ველებით. ეს შეუდარებელი ბუნება საუცხოვო მასალას იძლევა მაზრაში მეფუტკრეობის ასაღორძინებლად და განვითარებლად. სამწუხაროდ, ჯერ ამ გარემოებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. რაჭველი გლეხები მეფუტკრეობას ეწევიან ძველი პრიმიტიული, წესით ჯრგვალ ჯარკებში.

რაჭაში ფუტკარი აგროვებს უმაღლეს ღირსების თაფლს. იგი საამურია სუნით, გემოთი და საუცხოვოა სამკურნალო თვისებებით. ამ მაღალ ღირსებას ცოტათ ამცირებს ციბრუტის უქონლობა და მისი საშუალებით თაფლის გამოღება. დღევანდელ პირობებში რაჭველ გლეხისთვის შეუძლებელია ციბრუტის შეძენა. ტ რომ შეეძლოს გლეხმა მისი შეძენა ცხოვრებაში, პრაქტიკაში ვერ გამოიყენებს ჯეროვანათ, სანამ რაჭველები არ უკუაგდებენ ძველი, დახავსებული, მამა-პაპური დროის მესკეობას და არ შემოიღებენ ამერიკა-ევროპიულ დადან-ბლატის სისტემის დასაშლელ ბიკვებს.

ამ ბოლო დროს ხშირათ სწერენ ჩვენში მეურნეობის აღორძინების შესახებ; უქადაგებენ, უმტკიცებენ გლეხებს მისი სხვადასხვა დარგის აყვავებაზე და სარგებლიანობაზე მაგრამ ამნაირ რჩევა-დარიგებას ნაკლები დადებითი ნაყოფი მოაქვს მეურნეობის ახლადგენათ და გასაძლიერებლად საჭიროა მეტი ენერგიული ზომების მიღება მაზრის აღმასკომისაგან; კერძოდ მეფუტკრეობის რაციონალურად მოწყობისათვის აუცილებელია საცდელი საფუტკრის მოწყობა, თუნდაც გამოყენება საცდელათ **ხარისთვალის საფუტკრის**.

რაჭის მაზრის აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილება, თუ კი ამ საქმეს ენერგულად მოჰკიდებს ხელს, საუცხოვოდ დააყენებს, რითაც მისცემს ღარიბ-ღატაკ რაჭველ გლეხობას ერთ კარგ შემოსავლიან წყაროს რაჭის აღმასკომის ბევრი კარგი რამ გაუკეთებია მაზრისთვის და იმედი უნდა ვიქონიოთ ამ სფეროშიც გამოიჩენს უნარს და ენერგიას.

პ. დ ლი.

ბორჩალოს მაზრაში

1923 წელს 24 სექტემბერს დაარსდა თვითმშრომელთა (ხელოსნების) დამხმარე საზოგადოება, ბორჩალოს მაზრაში სოც უზრ. სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ამხ. კიტმირიდის ინიციატორობით. საერთო კრებას დაესწრო 100 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. კიტმირიდიმ. მან განმარტა მშრომელთა შეკავშირების მნიშვნელობა და გააცნო კრებას თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წესდების უმთავრესი მუხლები. კრებამ მადლობა გადაუხადა ამხ. კიტმირიდის, რომელმაც სიძრკვილი ჩაუყარა ბორჩალოს მაზრაში თვითმშრომელთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებას. კრებამ დაადგინა დაწესდეს ერთდროული გადასახადი თითო წევრზე ხუთ ხუთი მილიონი, თვიური საწევრო გადასახადი 50 კაპეიკი. დაარსების დღისვე საზოგადოების კომიტეტმა ამხ. კიტმირიდის დახმარებით დასდგა წარმოდგენა. შემოსული ფულიდან კომიტეტმა 50 პროცენტი გადასდო გერმანიის მუშების სასარგებლოთ. იმავე დროს კომიტეტმა საერთო კრებაზედ მოიწვია სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე, ამხ. ცხაძე, რომელმაც მოხსენება გააკეთა ოქტომბრის რევოლიუციის და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა კოოპერატივს გამგემ ამხ აზოვმა, კოოპერაციის ამოცანების შესახებ.

ბორჩალოს თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება მხურვალე მადლობას უძღვნის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელიც აკავშირებს ყველა მშრომელ ხელოსნებს და აარსებს ყველა მაზრაში საურთიერთო დამხმარე საზოგადოებას.

ალექსი ახლამაზაშვილი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

14 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

სოხუმში... 6 გრ., ფოთში... 6 გრ., ბათომში... 8 გრ., სამტრედიაში... 6 გრ., ქუთაისში... 7 გრ., აჯამეთში... 5 გრ., ქიათურაში... 0 გრად., ბორჯომში... 3 გრ., სურამში... 1 გრ., მუხრანში... 2 გრ., ტფილისში... 0 გრ., მუკუზანში... 2 გრ. ერევანში... 1 გრ., ბაქო... 5 გრ., (წიფიდან, ცნობები არ არის)

ღრუბლიანობა: ყოველგან მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ქუთაისში—აღმოსავლეთის, ძლიერი; აჯამეთში—?; ფოთში აღმოსავლეთის, სუსტი; მუკუზანში—სამხრეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში წყნარი ან სულ ნელი.

ნალექი: ნელი წვიმა ღამით და დილის 7 საათზე ფოთში, ბათომში, სამტრედიაში. ტფილისში და ერევანში ნელი თოვა ღამით. ბათომში წვიმა ღამით. [illegible]

ამინდი საქართველოში.

მოღრუბლულია. აღმოსავლეთ საქართველოში ჰყინავს, დასავლეთში ალაგ-ალაგ წვიმაა. ძლიერი ქარი მდ. რიონის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასია

14 იანვარი. დილის 7 საათ.

კაზბეგი. ტემპერატურა:—1 გრ მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 0 გრ მოღრუბლულია, ქარი არ ქრის. უმნიშვნელო ნალექი.

ტფილისი

15 იანვარი, დღის 1 საათ.

ტემპერატურა: 5 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ღრმად დამწუხრებული დედიდა მათა, ბიძა ნიკოლოზ ...შვილი, ბიცოლა ნატალია თოხაძისა, და ძმა ნინა და ვანო, ბიძაშვილები: ანეტა ელიკაშვილი, დავით, სოლომონ, ანდრო თოხაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის

თ მარა იოსების ასულის თოხაძის

უეცარ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 16 იანვარს, (ახ. სტ.) წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 3 საათზე დავიდოვის ქ. № 24, პანაშვიდი ყოველდღე 4 საათ

№ 397 1—1

ღრმად დამწუხრებული ძმათ ...ები ევგენი და ანეტა, ძმები: ვანო ტანგი და მარიანი და პატარა და მარო მეზუკენი ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელი

ირაკლი მეზუკისას

გამოსვენება მოხდება სა. სახლიდან, ბელინსკის ქ. № 26—ვერის სასაფლაოზე 17 იანვარს, 3 ნახ. საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე.

№ 847 1—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ შორაპნის ხიდის შეკეთების და მატარებლების მიმოსვლისათვის მისი დახურვის გამო, 17 იანვრის დილის 4 საათიდან 19 იან. დილის 6 საათამდე

სამგზავრო და საქონლის და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა ტფილის-ბათომის ხაზზე მოხდება შემდეგი წესით:

მატარებლები № 3/4, 7/8 რჩება მოძრაობაში მგზავრთა გადაჯდომით დახურულ ხიდთან 18 და 19 იანვარს; მატ. № 10 ტფილისიდან ქუთაისამდე 16 და 17 იანვარს და მატ. № 9 ქუთაისიდან ტფილისამდე 17 და 18 იანვარს გაუქმებული იქნება.

საქონლის და სამგზავრო მატ. № 21 ტ 22 ამ დღეებში ივლიან ბათომ-ზესტაფონსა და ტფილის-ხაშურს შორის.

ბარგი მატარებლებზე № 3/4, 7/8 გადაჯდომის დღეებში არ მიიღება გადასაგზავნად.

№ 848 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 25 იანვრისათვის დღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა 100.000 ოთხკუთხი ბოძი ხე-ტყის სა[illegible]ხალის დამზადებაზე შემდეგი ხარისხის:

1) ბოძები დიამეტრით	3—3,5	გოჯამდე	10,000	ოთხკ.
2) მორები „	4—6	„	20,000	„
3) ძელები 2×2 გოჯიდან	4×4	გოჯამდე	13,000	„
4) იგივე 2×3 „	5×6	„	17,000	„
5) ფიცარი 1,5 გოჯიანი			7,000	„
6) „	1	„	12,000	„
7) „	0.75	„	5,000	„
8) „	0,5—1		8,000	„
9) „	0 5	„	3,000	„
10) ფინი (პლასტინი)			3,000	„
11) ნაჯღერდილი (ძარბილი)			2,000	„

აღნიშნული მასალა უნდა იქნეს სალი, ჯიშით ფიჭვის ან ნაძვის, სიგრძით 12 არშინი, დასაშვებია უფრო მოკლეც, მაგრამ არა უმეტეს 25 პროც.-სა.

ფიცრები ზომით 0,75 გოჯი და ნაკლები, და აგრეთვე ფინები და ნაჯღერდილები შეიძლება იქნეს სოჭის, წიფლის და თელის, რაოდენობის 30 პროც.-ამდე.

თვითეულ ჯიშის გოჯის ფასი უნდა იქნეს განცხადებული ცალ-ცალკე. ტექნიკური პირობების გაცნობა შეიძლება ზ ჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილში ყოველ დღე სამ საათამდე (ლადო დუმბაძის ქ. № 3). წერილობითი განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი დახურულ კონვერტში წარწერით: ხე-ტყის მასალების დამზადების შეჯიბრებაზე—1924 წ. 25 იანვარი.

განცხადების შემოტანა შეიძლება 25 იანვრის დღის 12 საათ.

სპეციალურ განცხადების ნიმუშებს მსურველები მიიღებენ სამმართველოში.

ზ ჰესის სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ბიჯინაძე. 846 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან ბაკო ივანეს ძე სვანიშვილის სახელზე 13 ივლისს 1922 წელს № 22446. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 398 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მთავარი სახელოსნოებიდან № 2344 ნინო პარუმაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 399 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 2447 მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტში გრიგოლ მელიტონის ძე სტურუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 394 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა სიბრძნის მეტყველების ისტორიული დარგის სტუდენტის ელენე იასონის ასულის ჩხიკვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 396 1—1

მეცნიერება და ტეხნიკა

თანამედროვე ავიაცია.

სისწრაფის რეკორდი. ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ფლოტის ლეიტენანტმა ბროუმ მიაღწია პირდაპირ ფანტასტიურ სისწრაფეს—430 ვერსი საათში. მაგრამ რადგან ეს რეკორდი მიღწეული იქნა სისწრაფის რეკორდისათვის მიღებულ საერთაშორისო წესების დაურღვევლად, გამარჯვება და პრემია ხვდა მეორე ამერიკელ მფრინავს ლეიტენანტ ვილიამსს, რომელმაც გაიარა საათში 425 ვერსი თავისი ჰაეროპლანით საერთაშორისო წესების დაცვით.

რომანის წაკითხვა ჰაეროპლანიდან.

პარიზში წარსული წლის ოქტომბერში მოახდინეს შემდეგი ცდა: 25 ოქტომბერს დღის პირველ საათზე მწერალი ქალი ლუიზა ფორფავვე აფრინდა პარიზზე თითქმის ერთი ვერსის მანძილზე და იქიდან წაიკითხა მეცამეტე თავი თავისი რომანიდან „ჰაერის გმირები". ამ თავში აწერილია სწორეთ ის საჰაერო სადგური, საიდანაც აფრინდა ჰაეროპლანი და აწერილია ამ სადგურის მეურნეების ყოფა-ცხოვრება. კითხვა საუცხოვოდ იმოდა. მკითხველის ხმა სრულიად გარკვევით აღწევდა მსმენელებამდის და უმავთულო ტელეგრაფის პაიზელი მოყვარულნი სიამოვნებით ისმენდენ ახალი რომანის კითხვას.

რამდენი ქაღალდი დაიხარჯა ინგლისის არჩევნების დროს

როგორც ყველამ იცის, ინგლისის უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა თავისი გრანდიოზულობით ყველა წინანდელ არჩევნებს გადააჭარბა. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიებმა აგიტაცია-პროპაგანდაში დახარჯეს 109 ტონა (6540 ფუთი) ქაღალდი. წინანდელი არჩევნების დროს კი მხოლოდ 37 ტონა (2220 ფუთი).

ქრონიკა

— **მიწის ძვრა.** საქ. ფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 14 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე და 9 წუთზე აღნიშნულია სუსტი ადგილობრივი მიწის ძვრა. იმავე დღეს ღამის 12 საათზე აღნიშნულია შორეული საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა, ეპიცენტრალური მანძილი 7600 კილომეტრი, ალბად აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე.

— **სოფ. სამეურნეო გადასახადი და სახალხო მამულები.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სახალხო მამულებიდან მოხსნილი იქნას.

— **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** საქართველოს კომუნალურ მეურნეობის საბჭომ დაიწყო ფოთის ჭაობის ამოშრობა.

— **ფარნაოს აგარაკი.** მიწათმოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუთანხმდა სატყეო ტრესტს ფარნაოს აგარაკის ფართე ექსპლოატაციის შესახებ.

— **სახერხი ქარხანა.** ახლო ხანში შორაპნის მაზრაში აგარაკ ფარნაოამდე გაყვანილი იქნება რკინის გზის ვიწრო ლიანდაგი. აღნიშნულ აგარაკთან მოწყობილი იქნება სახერხი ქარხანა.

— **სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.** სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კოლეგიის წევრად დაინიშნა ამხ. ფარნიევი.

— **ფართალი გლეხებისათვის.** სოც უზრუნველყოფის კომისარიატის საშუალებით ს ველისციხის საგლეხო კომიტეტებმა შეიძინა ხუთასი ჩერვონეცის ფართალი გლეხებისათვის იაფ-ფასებში დასარიგებლად.

— **დაზღვეულთა სოციალური ავადმყოფობანი.** დამზღ. კასის სამკურნალო ქვე განყოფილების ცნობით გასულ წლის დეკემბრის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილი იყო სულ 1685 სოციალურ ავადმყოფობანი, მათ შორის ავადმყოფნი არიან: მალიარიით, ჭლექით, სიფილისით და სხ. ყველაზე მეტია მალიარიით—866, ჭლექით—271.

— **ბამბის მოსავალი.** 1924 წლისათვის ბამბის კულტურის გასაფართოებლად ბამბისთვის დასათესი სივრცე უდრის 3,000 დესეტინა მიწას.

— **არხი „ხოხოულის ჭედი".** ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მდინარე ყვირილას მახლობლად არხის „ხოხოულის ჭედის"-ს გასაყვანად არხი გაყვანილი იქნება 18 ვერსის მანძილზე. ამ არხის გასაყვანათ ჯერ ჯერობით საქ. კომ. მეურნეობის მიერ გადადებულია 7,809 მან. ჩერ.

— **ქალაქის პირველი საავადმყოფო.** ქალაქის აღმასკომმა წინად დიდი მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას ქალაქის პირველ საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტისა და ფოტოგრაფიისათვის საჭირო ნივთების შესაძენათ 1924 წ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს გასაკუთრებული თანხა 295 მან ჩერ. რაოდენობით.

— **სასაფლაოები.** ქალაქის აღმასკომის დადგენილებით მიცვალებულთა დასაფლავება შეიძლება შემდეგ სასაფლაოებზე: კუკიის, გორხანას, კრწანისის, პეტრე-პავლესა და ხოჯივანქის სასაფლაოებზე. დანარჩენ სასაფლაოებზე დაკრძალვა აკრძალულია განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

— **წითელარმიელთა კლუბი.** ქალ. აღმასკომმა წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბის ახალ ბინაზე (ყოფილი მცირე თეატრის შენობაში) მოსაწყობათ გადასდო 492 მანეთი ჩერვონ.

— **იურიდიული კონსულტაცია.** დამცველთა კოლეგიის წევრთა მიერ მოწყობილი საკონსულტაციო ბიურო აძლევს მსურველებს იურიდიულ დარიგებას და ადგენს საქმის წარმოების ქაღალდებს ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე. რჩევის მისაღებათ მსურველებმა უნდა მიმართონ საკონსულტაციო კამერებს: სასამართლოს ქუჩაზე სასამართლო დაწესებულებათა შენობაში. ტურგენიევის ქუჩაზე სახლი № 4. ღარიბებს დარიგება უსასყიდლოთ ეძლევა.

— **პარტიული კრება.** დღეს, 16 იანვარს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში შესდგება პირველი რაიონის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო პარტიული კრება ვ ნაწილი მნიშვნელოვანი საკითხებია განსახილველი, ყველას დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: 1. მდგომარეობა გერმანიაში—მომხს. ლ. ლოლობერიძე, 2. ჩეკას მოხსენება

შემთხვევები

— **უბედური შემთხვევა.** 13 იანვარს საღამოს 7 საათზე მადათოვის კუნძე № 4 ტრამვაის ვაგონმა გაიტანა 12 წლის ბავშვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ბავშვის ვინაობა გამოურკვეველია.

ქურდობა. 12 იანვარს, საღამოს 7 საათზე უგოლნის ქ. № 10 გაქურდული იქნა მოქ. არტემ მურმანოვის ღვინის სარდაფი.

— **შეპყრობა.** 13 იანვარს დილის 5 საათზე არსენალის ქ. № 27 როქ პავლე იოსების-ძე ილიევის ბინაზე შეპყრობილი იქნა ბოროტმოქმედი გრიგოლ აკოფისძე მინასოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **უბედური შემთხვევა.** 13 იანვარს საღამოს 5 საათზე ბაზლის ქ. № 3 ტვირთის გადაზიდვის დროს ჩავარდა სარდაფში კურტნიანი მუშა სარქის მიხეილის-ძე მირზოიანცი, რომელიც აქ ზემოდან დაეცა ზეთით სავსე ბოჭკა და იქვე გარდაიცვალა.

— **თავის მოწამვლა.** 13 იანვარს ელისაბედის ქ. № 17 თავი მოიწამლა მოქ. მარიამ ვასილის ასული რიზოვისამ. მიზეზი თავის მკვლელობის გამოურკვეველია.

— **ქურდობა** 13 იან. ღამის 1 საათზე პლეხანოვის პრ. № 146 გაქურდული იქნა მოქ. იოსებ ესასტის-ძე სარქველაძის ბინა, წაღებულია ორი კაცის პალტო, ერთი ხავერდის კაბა, საკუთმო შევიოტის მატერია, 5 ოქრო, და 1 ოქროს ბრელოკი. კვლევა ძიება სწარმოებს.

— **საქსოვი ქარხნის გაქურდვა.** 11 იანვრის საღამოს 6 საათზე გაქურდული იქნა დიდუბის და ფოთის კუთხეში მდებარე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელოსნოს ქარხანა, საიდანაც წაღებულია 235 არშ. ნაქსოვი შალები ღირებული 625 ჩერვონეცის.

ხელოვნება

— **სათეატრო ჟურნალი.** გამოვიდა ახალი სათეატრო ჟურნალი: „თეატრი" № 1.

— **პროლეტ კულტის დრამატიული სტუდია.** პროლეტ კულტის დრამატიული სტუდიის მოწაფეები დ კობახიძის რეჟისორობით ამ ჟამად ამზადებენ ებ. ვერხარნის რევოლიუციონურ პიესას „რიჟრაჟი".

— **ახ წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ს. გოგლიჩიძის მიერ შედგენილი საბავშო წიგნი „მოძრავი სიმღერა თამაშობანი".

დღეს თეატრებში

— ოპერა. „დაისი".

დრამა რუსული წარმოდგენა.

— სახალხო სახლი. რუსული წარმოდგენ.

პროვინციაში

სოფელი დიღომი (ტფილისის მაზრა).

ტფილისიდან 7—8 ვერსის მანძილზე მაღლობზე გაშენებულია სოფელი დიღომი. თითრი დუქნიდან დაწყებული სოფლის გზა მეტად გაფუჭებულია და დაზიანებული, რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. სოფელში არის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს ა. ასიტოვი—მხნე და ენერგიული ამხანაგი, რომელმაც დიდი სიყვარული მოიპოვა გლეხობაში. არსებობს სკოლა ოთხი განყოფილებით; მოწაფეთა რიცხვი 160 ს ღემატება. სკოლასთან არსებობს კურსები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის—მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. სკოლა საჭიროებს შეკეთებას. ამ ჟამად საბჭოს განზრახული აქვს გახსნას სკოლები სოფელ თელოვანში, თხინვალაში, ლისში ტ დიღომის ზემო-უბანში. ყოფილ სარაჯიშვილის ბაღში საბჭო ხსნის სამეურნეო სკოლას, რომელიც თავის მოუყრის კულტურულ ბაღებს და მცენარეებს, და მისცემს მოსწავლეთ სასოფლო-სამეურნეო ცოდნას. სოფელში არ არის სამკითხველო, რაც დიდ მინუსათ ჩაეთვლება ადგილობრივ კულტუჯრიდს. აღმასკომს მოსდის გაზეთები: „მიწის მუშა" და „კომუნისტი". საჭიროა აუცილებლად გაიხსნას სოფლის შუა გულში, სკოლასთან ახლო, წიგნთსაცავ-სამკითხველო. აქვე უნდა მოეწყოს ხმამაღალი კითხვა, რაც დააინტერესებს გლეხობას. საბჭომ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება და სამკითხველო რაც შეიძლება მალე უნდა ამოქმედდეს. სოფელში აშენებულია თეატრი—საშა გეგეჭკორის სახელობაზე. მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს თეატრის დარბაზი. საჭიროა მხოლოდ სცენის შეკეთება. სცენას ბევრი რამ აკლია, როგორც დეკორაციები, რეკვიზიტი, ბუტაფორია და თეატრალური ბიბლიოთეკა. უნდა მოწესრიგდეს საპირფარეშოები და კულისები. თეატრს განათება აკლია სასურველია დარბაზში დაიდგას გაზის ლამპები

სოფელი საჭიროებს მუშკოოპერატივის გახსნას, რადგანაც პირველ მოთხოვნილების საგნებ სთვის გლეხს უხდება ქალაქში ჩამოსვლა. საჭიროა რაც შეიძლება მალე გაიხსნას კოოპერატივი და ამით შეუმსუბუქოთ გლეხს მდგომარეობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოს მიერ უკვე მიღებულია ანკეტები—გლეხებში დასარიგებლად, რათა ჩაეწერნენ მუშკოოპში წევრებათ, რასაც გლეხობა დიდი აღტაცებით ეგებება.

ლოთობას გლეხობაში ადგილი არ აქვს აღმასკომის განკარგულებით სოფელში მიკეტილია ყველა სამიკიტნოები და აკრძალულია ღვინით ვაჭრობა.

ფოსტა ვერ არის მოგვარებული, გვიან მოდის გაზეთები და კორესპონდენციები. სოფლის დასაწყისში მოთავსებულია საექიმო პუნქტი, ექიმ მარინაშვილმა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა ხალხში. სანიტარული სამეული ყურადღებას აქცევს სოფლის ჯანმრთელობას და მის ჰიგიენურ პირობებს.

ამ ჟამად აღმასკომის ყურადღება მიქცეულია წყლის სათავის შეკეთებაზე და რუების შესწორებაზე.

საბჭოსთან დაარსებულია საურთიერთო საგლეხო კომიტეტი, რომლის მიზანს შეადგენს დახმარების აღმოჩენა გლეხებისთვის. ამ კომიტეტს ეკისრება გადაეცა ყველა კულტურული ბაღები სოფლისა.

საერთოდ სოფელს ეტყობა აღმშენებლობაში და მეურნეობაში წინსვლა და წარმატება, რაც მიეწერება აღმასკომის თავმჯდომარის ასიტოვის მხნეობას. ვუსურვებთ დიდმეღებს გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე.

მუშკორი მელითონე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილების იარაღების აღმრიცხავი კომისია აცნობებს საქართველოს კომპარტიის და ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ იარაღის აღწერა გაგრძელებულია 20 იანვრამდე.

იმ პირთა გამოცხადება, რომელთაც არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში იარაღი, სავალდებულოა ტფილისის მე-4-ე საგანგებო დანიშნულების ბატალიონის შტაბში (კარლ მარქსის მოედანი № 2) დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე და 20 იანვარს 9-დან დღის 12 საათამდე; ეს ვადა ითვლება უკანასკნელად.

ვინც არ გამოცხადდება იარაღის აღწერაზე, მათ შესახებ ტფილისის კომიტეტს გადაეგზავნება სია სათანადო ზომების მისაღებად.

კომისია.

1924 წ. 15 იანვარი ქ. ტფილისი.

— დღეს, 16 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ც. კ—ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია სხდომა საქართველოს პროლეტარ მწერალთა ახლად არჩეულ გამგეობისა. მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ი. ვაკელი, გედევანიშვილი, ს. ეულა, ნ. ზომლეთელი, ს. თოდრია, გ. ხუხუაშვილი, ა. ბაჯიაშვილი, ს. თალაკვაძე, ვ. მეგრელიძე, ნავთლუღელი, პ. ქიქოძე.

ც. კ—ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე

კ ვ ი რ ი კ ა ძ ე.

— დღეს, 16 იანვარს, საღამოს 7 საათზე, პარტიული კლუბის შენობაში (კირკის ქუჩა მთლიანი მუშათა კოოპერატივის შენობა) შესდგება პროლეტარული სტუდენტობის კვირეულის ჩამტარებელ კომისიის სხდომა. დღის წესრიგშია ქვე-კომისიის ანგარიში.

სავალდებულოა კომისიის ყველა წევრების და იმ ამხანაგების გამოცხადება, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კომისიის მუშაობაში.

სხდომაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სრული ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: მ. ე ს ს ე ნ ი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ხუთშაბათს, 17 იანვ. საღ. 5 საათზე, გამოცხადდნენ რაიკომში: 1. გევორკ არუტიუნოვს, 2. გაბო არიუტიუნოვს, 3. გარიბჯან გარიბჯანოვს, 4. მნაცაკან იგიტოვს, 5. ლეონ პეტროსიანს, 6. ლევონ სტეფანიანს, 7. არშაკ სურხატიანს, 8. არშავირ ავაკიანს, 9. ტატევოს ზეჭანოვს, 10. ნიკოლოზ ბონდარენკოს, 11 ალ. ბადურაშვილს, 12. ალექსანდრე ჯიოევს, 13. ანუშავან მისკინს, 14. ნიკოლოზ ნიკოგოსოვს, 15. არმენაკ სარუხანოვს, 16. ნატალია ხუბულაშვილს, 17. ვასილ სანაკოევს, 18. ალექსანდრე ჩერნიშევს.

მდივანი—ვ ა რ თ ა ნ ი ა ნ ი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფ. სათათბიროს დარბაზი) მოწვეულია ქალაქის რაიკომის ს ა დ ე ლ ე გ ა ტ ო კ რ ე ბ ა, იაჩეიკების მდივნებთან ერთად.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. პარტიაში მიღების შესახებ.
2. საქართველოს საგანგებო კომისიის ანგარიში.
3. მთელი რიგი სხვა საკითხებისა.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ს ა ც ქ ე ვ ი ჩ ი.

— ოთხშაბათს, 16 იანვარს, საღ. 6 სათ., ცენტრალურ პარტიულ კლუბში (კირკის და კამოს სახელობის ქუჩების კუთ.) დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის კომუნისტ წევრთა საერთო კრება. გასარჩევია მეტად საყურადღებო და საწრაფო საკითხები. დასწრება სავალდებულოა პარტ-დისციპლინის წესით.

კომფრაქციის ბიურო.

— ს. ქ. პ. ტ. ო. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის ბინაზე (ყოფილ საბჭოს დარბაზში) მოწვეულია ქ ა ლ ა ქ ი ს რ ა ი კ ო მ ი ს დ ე ლ ე გ ა ტ თ ა კ რ ე ბ ა, უჯრედების მდივნებთან ერთად.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საკითხი პარტიაში მიღების შესახებ.
2. საქართველოს საგანგებო კომისიის ანგარიში.
3. მთელი წყება სხვა საკითხებისა.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ს ა ც ქ ე ვ ი ჩ ი.

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.